ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

იფ,ფბ-რდბჰფ

#) bdybcb 2 ! bdkbcb7 @)!@

1154 (5844)

afcb5 #) stshb

@N:ბდჴბცბლფჴ

3ფ[ფკბ სფჯ,ფ4+

ერლ სტენლი გარდნერი

ცალთვალა მოწმის ჩვენება

შემდეგი — როს მაკდონალდსი

ეკანასკნელი მზერა

წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი





გვ.2

## ქართული ოცნების“ აქცია მცხეთაში შეიძლება დაარბიონ

კოალიცია უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს

### კოკა გუნცაძე: ამომრჩეველთა სიაში უკვე 708 მიცვალებული ვიპოვეთ“



გვ.3

### პარლამენტის საგაზაფხულო სესია ოფიციალურად დაიხურა

გვ.2



### სააკაშვილმა სამეგრელოში წყალდიდობის გამო აზერბაიჯანში ვიზიტი შეწყვიტა



გვ.9

### კახა კუკავა: ბათუმში თურქული დროშები უფრო მეტია, ვიდრე ქართული“



გვ.6

### რატომ არ დაიშალა სახალხო კრება

გვ.2



### ფიქრია ჩიხრაძე: საქართველოში ერთპარტიული მმართველობა უნდა დასრულდეს!“

გვ.4



### ენ-დი-აი საქართველოში შექმნილი ვითარებით შეშფოთებულია

გვ.3



გვ.7

### ლიკა ყაზბეგი პატარძლებს გამოფენს

ISSN 1987-9385

20 ივნისიდან

3ფ[ფკბ სფჯ,ფ4+

]ეპტგტ დტპლბ

* კფჰბ



# რატომ არ დაიშალა სახალხო კრება

თეა მარხვაიძე

ხელისუფლებას სახალხო კრება სერიოზულად აღიზიანებს. შესაბამისად, ბევრი რამე გააკეთა მის დასაშლელად. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ოპოზიციის ერთი ნაწილიც. ხელისუფლების მსგავსად, მათაც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის ეს გაერთიანება. ამ დისკომფორტისთვის ყველას სათავისო მიზეზი აქვს.

ხმები იმის შესახებ, რომ სახალხო კრება იშლება, რამდენჯერმე გავრცელდა. ასეთი ცნობები განსაკუთრებით „ქართული ოცნების" შექმნის შემდეგ გახშირდა. ოცნებაში გოგი ქავთარაძის გადასვლის შემდეგ კი ამაზე უფრო ბევრს საუბრობდნენ. ამის მიუხედავად, კრება მაინც არ დაიშალა.

თავად გოგი ქავთარაძე კი ამბობს, რომ ის სახალხო კრების წევრი არასდროს ყოფილა. არადა, ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო და კრების აქციებშიც აქტიურად მონაწილეობდა. ახლა სხვაგან გაუწია გულმა. ოცნებასა და ოცნებაში წასვლას კი ვერავის დაუშლიან.

ჭორები სახალხო კრების დაშლაზე ლუკა კურტანიძისა და სოსო ჯაჭვლიანის გამოც გავრცელდა. შარშან, ალბათ, გახსოვთ, მათ ქუთაისიდან თბილისში საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს, ეს გზა ფეხით გამოიარეს და ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას აპროტესტებდნენ. მათ თბილისში ბერა ივანიშვილი დახვდათ. მაშინვე გავრცელდა ხმა, რომ ისინი ივანიშვილთან გადავიდნენ. ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. არადა, როგორც ამბობენ, ივანიშვილს ძალიან უნდოდა მათი ოცნებაში გადაყვანა.

ალბათ, ყველას გახსოვთ მათ შორის მომხდარი ერთი დიდი გაუგებრობა. რამდენიმე თვის წინ კრების წარმომადგენლები ივანიშვილთან მივიდნენ. ის შეხვედრა საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ოცნების წარმომადგენლებმა ეს შეხვედრა მთლიანად გადაიღეს, საზოგადოებას კი მხოლოდ რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი წარუდგინეს. ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ითქვა, რომ ბიძი კრების წევრების ნაწილის გადაბირებას ცდილობდა და იყო ერთი ამბავი. მერე ეს ამბავი რაღაცნაირად მოაგვარეს.

კრების გარშემო სიმშვიდემ დაისადგურა. ერთ დღეს კი ოცნებაში თქვეს, მზად ვართ, კრებასთან მაჟორიტარებზე დავილაპარაკოთო. ჯერ საბოლოოდ არ არის ცნობილი, რამდენ მაჟორიტარზე შეთანხმდებიან. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ სოსო ჯაჭვლიანი და ლუკა კურტანიძე აუცილებლად იყრიან კენჭს.

ასეთი შეთავაზება იყო ნონა გაფრინდაშვილთან და გია ბურჯანაძესთანაც. ორივე მათგანი კატეგორიულ უარს აცხადებს დეპუტატის მანდატისთვის ბრძოლაზე.

ამ ეტაპზე იმ ადამიანების შერჩევა მიდის, რომლებიც კრებიდან იქნებიან წარდგენილი მაჟორიტარებად. ამ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება ერთი კვირის წინ თემურ შაშიაშვილმა, რომელიც მოძრაობა „თეთრების" ლიდერია. ამ განცხადებას ისეთი ამბები მოჰყვა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლუკა კურტანიძემ და სოსო ჯაჭვლიანმა კრებიდან ოპოზიციის გარიცხვა მოითხოვეს. ეს საკითხი კრების შეკრების დღის წესრიგშიც დადგა. ერი და პოლიტპარტიები სეირის საყურებლად მოემზადნენ, მაგრამ არაფერი მოხდა. ეს საკითხი დღის წესრიგში საერთოდ არ დადგა. შაშიაშვილმა კურტანიძესთან და ჯაჭვლიანთან პრობლემა მოაგვარა.

ახლა, როგორც ამბობენ, ეს ყველაფერი მავანის ბოროტი ენების გამო მოხდა. ჯაჭვლიანისა და კურტანიძისთვის ვიღაცას ამბავი მიუტანია, შაშიაშვილმა მწარედ გაგაკრიტიკათო. სწორედ ამიტომ დასვეს დღის წესრიგში კრებიდან „თეთრების" ლიდერის გარიცხვის საკითხი.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ჯაჭვლიანი და კურტანიძე ოცნებაში გადავიდნენ თითქმის. ამ ჭორების გავრცელებას ხელს ისიც უწყობს, რომ ისინი „ქართული ოცნების" აქციებზე დადიან. ამბობენ, რომ აქციებზე მომავალშიც წავლენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი კრებას დატოვებენ.

და, ალბათ, არც დატოვებენ. წასვლა რომ სდომებოდათ, აქამდეც წავიდოდნენ. თანაც მათ შარშან 26 მაისს კრებასთან ერთად ისეთი რამ გადაიტანეს, ძნელია ამის შემდეგ თანამებრძოლის მიტოვება. ჯაჭვლიანი და კურტანიძე აქამდე ასეთ რამეებს დიდ პატივს სცემდნენ და საეჭვოა, ახლა შეცვალონ ცხოვრების წესი. რამდენად სწორია კრებაში ან პოლიტიკაში მათი ყოფნა, ეს სხვა საკითხია. ფაქტი ისაა, რომ ორივე მათგანი დღემდე ღირსეულად მოვიდა როგორც სპორტში, ასევე პოლიტიკაში.

აი, ასე არ დაიშალა სახალხო კრება. გაეხვევიან თუ არა მომავალში რაიმე შარში, ძნელი სათქმელია. ისეთი დროა, შარს ვერც ერთი პარტია და გაერთიანება ვერ ასცდება.

მთავარია ისაა, რომ ოპოზიციის გაერთიანების პროცესი დაწყებულია, უფრო სწორად — თანამშრომლობის. კრება და ოცნება გაერთიანებას არ აპირებენ. გაერთიანება არც სხვა პარტიებს შორის იგეგმება. უბრალოდ, ოპოზიციის ერთი ნაწილი თანხმდება, რომ მაჟორიტარებთან დაკავშირებით ითანამშრომლებს.

მართალია, თავიდან ოპოზიციის ნაწილი სხვებთან თანამშრომლობას უკადრისობდა, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ არჩევნებს მარტო დიდი ფულით ვერ მოიგებ და თანამშრომლობას დათანხმდნენ. არჩევნებამდე 3 თვეზე მეტია დარჩენილი. ამ პერიოდში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. წინ ბევრი გადაადგილება და საინტერესო მოვლენა გველოდება.

# „ქართული ოცნების" აქცია მცხეთაში შეიძლება დაარბიონ

თეა მარხვაიძე

კვირას, 1 ივლისს, მეოცნებეები მცხეთაში შეიკრიბებიან. თბილისში, გურიაში და იმერეთში მათმა შეკრებებმა მშვიდობიანად ჩაიარა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მცხეთაში შესაძლოა დაპირისპირებას ჰქონდეს ადგილი.

ეს ხმები გორის რაიონის სოფელ მერეთში მომხდარი ინციდენტის შემდეგ გავრცელდა. „ქართული ოცნების" წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება მათთვის მასშტაბური პროვოკაციების მოწყობას მცხეთაშიც აპირებს.

ასეთი ინფორმაციები აქამდე ჩატარებული აქციების დროსაც ვრცელდებოდა. თუმცა სერიოზული არაფერი მომხდარა. მერეთის ინციდენტმა კი ბევრი რამე შეცვალა. მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ გავრცელებულ ცნობებს მეოცნებეები სერიოზულად უყურებენ. ისინი ხელისუფლებისგან წესრიგის დაცვას მოითხოვენ.

ამასთან დაკავშირებით „ქართულმა ოცნებამ" 29 ივნისს საგანგებო განცხადება გაავრცელა.

ამ განცხადებით მეოცნებეებმა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას მიმართეს. „ახალი თაობა" განცხადების ტექსტს უცვლელად გთავაზობთ.

— მოგეხსენებათ, შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზატორების მიერ ღონისძიების ადგილის და დროის შესახებ გაფრთხილების შეტანა ადგილობრივ და სახელმწიფო ორგანოებს ავალდებულებს მიიღონ განსაკუთრებული ზომები მოქალაქეთა უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად. ნაცვლად ამისა, კოალიცია „ქართული ოცნების" მიერ დღემდე ორგანიზებული მასობრივი აქციების (თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში) დროს არც ღონისძიებისთვის გამოყოფილ ადგილებში და არც მიმდებარე ტერიტორიაზე სამსახურებრივ ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები საერთოდ არ გამოჩენილან. შესაბამისად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოები არათუ არ იღებენ დამატებით ზომებს ათეულობით ათასი მოქალაქის შეკრების და მსვლელობის დროს მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, არამედ უარს ამბობენ "პოლიციის შესახებ" კანონით მათზე დაკისრებული ყოველდღიური ფუნქციების შესრულებაზეც კი.




პოლიციის ორგანოების ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო აღრმავებს ისედაც უკიდურესად გამწვავებულ პრობლემას - სახელმწიფო ხელისუფლებით აღჭურვილი პირების მიერ ორმაგი სტანდარტების გამოყენებას მმართველი პარტიის პოლიტიკური მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების მიმართ. აღნიშნული პრობლემა მძიმდება იმითაც, რომ ფორმიანი პოლიციელების მიერ ოპოზიციის მიერ ორგანიზებული შეხვედრების ადგილების მიტოვების პარალელურად აქტიურობენ სხვადასხვა ძალოვანი უწყებების სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები (მაგალითად, რამდენიმე დღის წინ სოფელ მერეთში მომხდარი ინციდენტი).

უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა სწორედ თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად დარღვევების პრევენციისა და ეფექტური აღმოფხვრისათვის. ამიტომ, მოგმართავთ, მიიღოთ სათანადო ზომები, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა განუხრელად შეასრულონ კანონით მათზე დაკისრებული ფუნქციები. კერძოდ, ველით, რომ კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ 1 ივლისს ქ. მცხეთაში დაგეგმილი მასობრივი მშვიდობიანი ღონისძიების ჩატარების დროს სათანადო განმასხვავებელი ნიშნებით აღჭურვილი პოლიციის თანამშრომლები აქციის ორგანიზატორებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მოქალაქეების უსაფრთხოებას და ტრანსპორტის მოძრაობის და პარკირების ადეკვატურ რეგულირებას. სათანადო განაცხადით ჩვენ მივმართეთ ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტსაც, — აღნიშნულია განცხადებაში.

ამ განცხადების შესახებ ბუნებრივია მცხეთის გამგეობასაც აქვს ინფორმაცია. თუმცა ისინი არაფრის გაკეთებას არ აპირებენ. ეხლა ისე ნუ გაიგებთ, რომ საერთოდა არფერს არ გააკეთებენ.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი თეიმურაზ აბაშიძე აცხადებს, რომ გამგეობა უსაფრთხოების ზომებს ვერ დაიცავს და ის მხოლოდ ტრანსპორტის მოძრაობისა და პარკირების რეგულირებაზე იქნება პასუხისმგებელი.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე და უწყებათაშორისი კომისიის წევრი თამარ კინწურაშვილი აცხადებს, რომ კომისიამ პოლიციას რეკომენდაციით უკვე მიმართა.

— უწყებათაშორისმა კომისიამ უკვე მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ აქციაზე უსაფრთხოების ზომები დაიცვან. უკვე გავავრცელეთ რეკომენდაცია და მივმართეთ პოლიციას, რომ იმოქმედოს კანონის შესაბამისად, — აღნიშნა კინწურაშვილმა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი თეიმურაზ აბაშიძე აცხადებს, რომ გამგეობა უსაფრთხოების ზომებს ვერ დაიცავს.

— მცხეთის მუნიციპალიტეტზე რაც არის დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ. ჩვენ უსაფრთხოების ზომებს ვერ დავიცავთ. ეს პოლიციის კომპეტენციაა. რაც შეეხება პარკირებას და ტრანსპორტის რეგულირებას, ამ საკითხებს მოვაგვარებთ. თეატრონის წინ ძალიან დიდი ტერიტორიაა. თუ ეს ადგილი საკმარისი არ იქნება, დამატებით სხვა ადგილებსაც გამოვყოფთ და გამოვაცხადებთ, სად იქნება შესაძლებელი მანქანების პარკირება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა პატრულის საქმეა და ამაში ჩვენ ვერ ჩავერევით, — ამბობს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში თეიმურაზ აბაშიძე.

დაიცავს თუ არა პატრული აქციის მონაწილეებს ეს მართლაც საკითხავია. მეოცნებეებს ამაში ეჭვი ეპარებათ. მერეთის ინციდენტმა ეს ეჭვები კიდევ უფრო გაუღრმავათ. იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება.

# დავით ბერძენიშვილი: მოხევეების დაშინებას და მართვას ხელისუფლება ვერ ბედავს



კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლის დავით ბერძენიშვილის განცხადებით, ამჟამად კოალიციის წარმომადგენლები ყაზბეგის რაიონში მოსახლეობას ხვდებიან. შეხვედრები ინციდენტების გარეშე მიმდინარეობს, რადგან ხელისუფლება მოხევეების თავის ნებაზე მართვას ვერ ახერხებს.

როგორც „მედიანიუსთან" საუბრისას ბერძენიშვილმა აღნიშნა, ხევის მოსახლეობა კოალიციის წარმომადგენლებს ძალიან დადებითი განწყობით ხვდება.

„განსხვავებით სხვა რეგიონებისა, აქ ერთმანეთთან ურთიერთობას ძალიან უფრთხილდებიან, რადგან სხვა ტრადიციები აქვთ. ბარისგან განსხვავებით, აქ სულ სხვა ხალხი ცხოვრობს და თავისუფლებასაა მიჩვეული. მათზე ზეწოლის მოხდენას და თავისი აზრების მოხვევას ვერავინ ბედავს, განსაკუთრებით კი ხელისუფლება, რადგან საკმაოდ ცუდ რეაქციის მოლოდინი აქვთ. ამიტომაცაა, რომ ჩვენთან შეხვედრებზე ბევრი ხალხის მოსვლის მიუხედავად, არანაირი ინციდენტი არ მომხდარა „,-აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა

მისივე თქმით, „ქართულ ოცნებას" ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი უკვე შერჩეული ჰყავს და მისი ვინაობა 1 ივლისს მცხეთაში დაგეგმილ აქციაზე დასახელდება.

მედიანიუსი

# პარლამენტის საგაზაფხულო სესია ოფიციალურად დაიხურა



საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია ოფიციალურად დაიხურა. სესიის დახურვამდე სხდომათა დარბაზში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შესრულდა.

რეგლამენტის შესაბამისად, პარლამენტის საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება და ივნისის ბოლო პარასკევს იხურება. მიმდინარე კვირა საკომიტეტო იყო, თუმცა პრეზიდენტის ბრძანებულებით, ორი რიგგარეშე სხდომა ჩატარდა.

საგაზაფხულო სესიის დახურვამდე პარლამენტმა მასთ ქერის პრინციპი დააკანონა. გარდა ამისა, საკანონმდებლო ორგანომ კენჭი უყარა რამდენიმე მიმდინარე საკითხს.

პარლამენტის საშემოდგომო სესია სექტემბრის პირველ სამშაბათს გაიხსნება.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ენ-დი-აი საქართველოში შექმნილი ვითარებით შეშფოთებულია

ნათია ხურცილავა

ენდიაის დელეგაციამ, რომელიც საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდის შესაფასებლად არის ჩამოსული, შუალედური ანგარიში წარმოადგინა.

ანგარიში მოამზადა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საერთაშორისო დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სემ გეჯდენსონი, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი, პერ ეკლუნდი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი, კენეთ ვოლაკი ენდიაის პრეზიდენტი და ლუის ნავარო ენდიაის საქართველოს ოფისის დირექტორი.

დელეგაციების მიზანი იყო ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება, ზოგადი პოლიტიკური გარემოს ანალიზი და იმ ფაქტორების შესწავლა, რომელსაც საარჩევნო პროცესზე გავლენის მოხდენა შეუძლია.




როგორც ცნობილია, ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია შეხვდა მმართველი გუნდის და არჩევნებში მონაწილე ოპოზიციური პარტიების ლიდერებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრებს, თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს.

დელეგაციამ შეხვედრები გამართა სხვადასხვა სამსახურებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან.

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, ენდიაის წინასაარჩევნო დელეგაცია შეშფოთებას გამოთქვამს ქვეყანაში მზარდი პოლიტიკური პოლარიზაციისა და პოლიტიკურ ლიდერებს შორის კონსტრუქციული დიალოგის თითქმის არარსებობის გამო.

როგორც წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშშია ნათქვამი, პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისგან მტრის ხატის შექმნა ჩვეულ ტაქტიკად იქცა.

— უფრო მეტიც, სიძულვილის ენა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მიმართ ჯერ კიდევ გვხვდება საარჩევნო კამპანიის დროს. ინფორმაცია პოლიტიკურად მოტივირებული ზეწოლისა და კამპანიის თანხების არასწორი ხარჯვის შესახებ, ასევე ბრალდებები საჯარო მოხელეების მოქრთამვის მცდელობისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ გრძელდება. დელეგაციის ვიზიტისას გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთში განსხვავებული შეხედულებების მქონე ჯგუფებს შორის ძალადობრივი ინციდენტი მოხდა, რასაც უნდა მოჰყვეს საფუძვლიანი და მიუკერძოებელი გამოძიება და დამნაშავეები კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯონ, — ნათქვამია ენდიაის წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშში.

დელეგაციას მიაჩნია, რომ პროცესის სამართლიანობის მიმართ საზოგადოების ნდობისთვის რამდენიმე მიმართულებით დამატებითი ნაბიჯების გადადგმაა შესაძლებელი, მათ შორის, პარტიების დაფინანსების, მედიაგარემოს, ამომრჩეველთა სიების სიზუსტის, კანონმდებლობის ზოგიერთი დებულებისა და მისი აღსრულების კუთხით, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაზრდით, განსაკუთრებით კი, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლებისა და ქალთა წარმომადგენლობის გაზრდით.

— არჩევნების შეფასება არ შეიძლება მოხდეს კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხის შესაფასებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ წინასაარჩევნო პერიოდი, მათ შორის არჩევნებისთვის მზადების პროცესი და პოლიტიკური გარემო. ნებისმიერი არჩევნების ზუსტი შეფასებისას საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტია მნიშვნელოვანი — საარჩევნო კანონმდებლობა, წინასაარჩევნო პერიოდი როგორც კამპანიის დაწყებამდე, ისე მისი მიმდინარეობისას. კენჭისყრის პროცესი, ხმის მიცემის პროცედურა, შედეგების შეჯამება, საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა და ახალი ხელისუფლების ფორმირების პირობები, — ნათქვამია ენდიაის წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშში.

ენდიაი პოლიტიკურ პარტიებს ფინანსების უკანონო ხერხებით მოპოვებისა და დახარჯვისგან თავშეკავებას ურჩევს. როგორც ორგანიზაციის წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიშშია ნათქვამი, პარტიებს პოტენციურ ამომრჩეველზე არასათანადო გავლენის მოსახდენად ფულის, საქონლისა და მომსახურების გამოყენებისგან თავშეკავებაც მართებთ.

— პარტიებმა აქტივისტებს უნდა გააცნონ რეგულაციები, რომელიც ზემოაღნიშნულ ქმედებებს კრძალავს. პარტიებმა საარჩევნო კამპანიის ყველა მონაწილისთვის უნდა შეიმუშაონ, გამოაქვეყნონ და დაიცვან პარტიის ქცევის კოდექსი. კამპანიის ყველა მონაწილე პასუხს აგებს საკუთარ ქმედებებზე და ვალდებულია ნებისმიერი დარღვევის დოკუმენტირება მოახდინოს. პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა უნდა დაგმონ საკუთარი მომხრეების მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები და მათ ინციდენტების გამოძიების მიზნით თანამშრომლობისკენ მოუწოდონ. პარტიებმა ამომრჩევლებს საკითხებზე ორიენტირებული კამპანია უნდა შესთავაზონ და ხშირად მიიღონ მონაწილეობა კანდიდატთა შორის დებატებში. საარჩევნო კამპანიის დროს დაპირისპირებისას პოლიტიკურმა ლიდერებმა და კანდიდატებმა ამომრჩევლებს მკაფიოდ უნდა განუმარტონ ამ დაპირებების შესრულების ფინანსური წყაროები, — ნათქვამია ანგარიშში.

ენდიაი ასევე პოლიტიკურ პარტიებს ურჩევს, სრულად გამოიყენონ ახალი ფინანსური წახალისება, რომელიც პარტიულ სიაში ქალი კანდიდატების ჩასმას ეხება. — პარტიებმა პარტიულ სიებში უფრო მეტი ქალი კანდიდატი უნდა წარმოადგინონ, ასევე დაასახელონ ქალები მაჟორიტარ კანდიდატებად მათთვის კონკურენტუნარიან ოლქებში. მსგავსი ძალისხმევა შეუწყობს ხელს საქართველოს ქალთა მონაწილეობის კუთხით დაუახლოვდეს რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დასახულ მიზნებს, — აღნიშნულია ენდიაის ანგარიშში.

ენდიაის სადამკვირვებლო მისია, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის საზოგადოების ნდობის განმტკიცების მიზნით, პარლამენტსა და მთავრობას რამდენიმე რეკომენდაციით მიმართავს, მათ შორის არის არჩევნების სამართლიანად ჩატარების ვალდებულება.

როგორც სპეციალურ პრესკონფერენციაზე ენდიაის სადამკვირვებლო მისიის დელეგაციის წევრმა, პერ ეკლუნდმა განაცხადა, მთავრობისა და პარლამენტის ვალდებულებაა, ხელი შეუწყონ ყველა მხარის თანაბარ პირობებში ჩაყენებას და საარჩევნო კანონმდებლობის თანაბარ გამოყენებას, პატივი სცენ საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებსა და ნორმებს, რათა ყველა პროცედურა იყოს გამჭვირვალე და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის გაზრდას შევუწყოთ ხელი.

საარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კუთხით კი, ენდიაის წარმომადგენლები მთავრობას ურჩევენ, უზრუნველყოს კამპანიის დაფინანსების კანონმდებლობის გამჭვირვალე, თანაბარი და კეთილგონიერი გამოყენება. —წინასაარჩევნო პერიოდში აღნიშნული საკითხის აქტუალურობის და მის გარშემო არსებული დისკუსის გათვალისწინებით, ხელისუფლებამ უნდა გადახედოს და განიხილოს დამატებითი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა და ამით უპასუხოს სამოქალაქო საზოგადოების წუხილს ნორმების თანაზომიერად აღსრულების თაობაზე. ასევე, ჩვენი რეკომენდაციაა, საარჩევნო კამპანიის პერიოდში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, არჩევნების შემდეგ მოხდეს საარჩევნო კამპანიის და პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის მრავალპარტიულ ფორმატში განხილვა, — აღნიშნა პერ ეკლუნდმა.

მთავრობასა და პარლამენტს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები საარჩევნო კანონმდებლობის აღსრულებით ანგარიშვალდებულების გაზრდისკენაც მოუწოდებენ — როგორც პერ ეკლუნდი განმარტავს, საზოგადოების ნდობა საარჩევნო პროცესისადმი დამოკიდებულია პროცესში ჩართულობასა და მის გამჭვირვალობაზე. —კანონის აღმსრულებლებმა, პროკურორებმა და სასამართლოებმა, ისევე, როგორც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ზედმიწევნით უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, პასუხი აგებინონ საარჩევნო კანონმდებლობით ამომრჩევლის და კანდიდატების უფლებების დამრღვევ პირებს, არჩევნებში მონაწილეებმა პატივი უნდა სცენ კანონს და სადავო საკითხები გაასაჩივრონ სასამართლოებში, — აღნიშნა პერ ეკლუნდმა.

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისადმი ნდობის განმტკიცების მიზნით, დელეგაცია პარლამენტსა და მთავრობას შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს:

— არჩევნების სამართლიანად ჩატარების ვალდებულება — ხელი შეუწყონ ყველა მხარის თანაბარ პირობებში ჩაყენებასა და საარჩევნო კანონმდებლობის თანაბარ გამოყენებას. საარჩევნო კანონმდებლობის მიზნებსა და ნორმებს პატივი სცენ, რათა ყველა პროცედურა გამჭვირვალე იყოს და საარჩევნო პროცესებისადმი ნდობის გაზრდას შეუწყოს ხელი. მეორე, საარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსება — კამპანიის დაფინანსების კანონმდებლობის გამჭვირვალე, თანაბარი და კეთილგონიერი გამოყენება უზრუნველყონ. წინასაარჩევნო პერიოდში აღნიშნული საკითხის აქტუალურობისა და მის გარშემო არსებული დისკუსიის გათვალისწინებით, ხელისუფლებამ უნდა გადახედოს და განიხილოს დამატებითი ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა და ამით ნორმების თანაზომიერად აღსრულების თაობაზე სამოქალაქო საზოგადოების წუხილს უპასუხოს. ასევე, ჩვენი რეკომენდაციაა, საარჩევნო კამპანიის პერიოდში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, არჩევნების შემდეგ საარჩევნო კამპანიისა და პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის მრავალპარტიულ ფორმატში განხილვა მოჰყვეს. მესამე, მედიის ხელმისაწვდომობა — „მასტ ქერის" პრინციპის კანონმდებლობაში დანერგვა პოზიტიური ნაბიჯია, რომელიც მედიის ხელმისაწვდომობას საქართველოს ბევრი მოქალაქისთვის გაზრდის. „მასტ ქერის" პრინციპის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდამდე ამოქმედება, ასევე მისი არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე გაგრძელების შესაძლებლობის განხილვა უნდა მოხდეს. მეოთხე, საარჩევნო კანონმდებლობის აღსრულებით ანგარიშვალდებულების გაზრდა — საზოგადოების ნდობა საარჩევნო პროცესისადმი დამოკიდებულია პროცესში ჩართულობაზე, გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და სამართლიანობაზე. კანონის აღმასრულებლებმა, პროკურორებმა და სასამართლოებმა, ისევე, როგორც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საკუთარი მოვალეობა ზედმიწევნით უნდა შეასრულონ და საარჩევნო კანონმდებლობის, ამომრჩევლისა და კანდიდატების უფლებების დამრღვევ პირებს პასუხი აგებინონ. არჩევნებში მონაწილეებმა კანონს პატივი უნდა სცენ და სადავო საკითხები სასამართლოში გაასაჩივრონ, — ნათქვამია ანგარიში.

ენდიაის წინასაარჩევნო დელეგაცია უწყებათაშორის კომისიას სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივად გამოყენებასა და ამომრჩევლების დაშინებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის გამჭვირვალედ და ობიექტურად გამოძიებისკენ მოუწოდებს.

ენდიაის წინასაარჩევნო დელეგაცია მედიას არჩევნების ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შესაბამისად გაშუქების რეკომენდაციას აძლევს.

როგორც დელეგაციის ანგარიშშია ნათქვამი, მედიამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამები და უზრუნველყოს საარჩევნო სუბიექტებისთვის დებატების ხელმისაწვდომობა.

— რეგიონულმა და ადგილობრივმა ტელევიზიებმა უნდა გაიღონ ყველანაირი ძალისხმევა, რათა ადგილობრივ მაჟორიტარ კანდიდატებს შორის დებატები გამართონ ან გააშუქონ. ენდია-ის გამოცდილებამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით აჩვენა, რომ დებატები ეხმარება პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს, ყურადღება მოქალაქეებისთვის საჯარო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე გაამახვილონ. დებატები ასევე წარმოადგენს კონსტრუქციული და შინაარსობრივი პოლიტიკური დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას, — ნათქვამია ანგარიშში. ენდიაის წინასაარჩევნო დელეგაცია ასევე აღნიშნავს, რომ ყველა ეროვნული მაუწყებელი აღიქმება, როგორც ხელისუფლების ინტერესების გამომხატველი, „კავკასია" და „მაესტრო" კი — როგორც ოპოზიციის ინტერესების გამომხატველი არხები.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ორივე არხი თბილისიდან მაუწყებლობს, მაგრამ უმეტესი საკაბელო და სატელიტური ქსელების მეშვეობით ისინი ხელმისაწვდომი არ არის. რაც შეეხება „მეორე არხს", ანგარიშის თანახმად, ის არასაკმარისად ფინანსდება და ქვეყნის დიდ ნაწილში ხელმისაწვდომი არ არის.

# კოკა გუნცაძე: ამომრჩეველთა სიაში უკვე 708 მიცვალებული ვიპოვეთ"

ნათია ხურცილავა

„ამომრჩეველთა ლიგამ" მათ მიერ წარმოებული ალტერნატიული კარდაკარის ერთი კვირის შედეგები სპეციალურ პრესკონფერენციაზე გააცნო ჟურნალისტებს. ალტერნატიულ კარდაკარს „ამომ-




რჩეველთა ლიგა" ამჟამად თბილისსა და ზუგდიდში აწარმოებს.

სულ დედაქალაქში აღრიცხულია 90 000 ამომრჩეველი. იმ დარღვევებზე, რომლებიც ამ 90 000-ში აღმოჩნდა, ჟურნალისტებს ამომრჩეველთა ლიგის დამფუძნებელი კოკა გუნცაძე ესაუბრა.

— მოგეხსენებათ, რომ ერთი კვირაა დაიწყო სიების დაზუსტების ალტერნატიული კამპანია. ჩვენ დედაქალაქის მასშტაბით 90 000 ამომრჩეველი გამოვკითხეთ და აღმოჩნდა, რომ უცხოეთში ცხოვრობს 6 231 ამომრჩეველი. სხვა მისამართებზე მიწერილია 7 152 ადამიანი. გარდაცვლილია 708, ხოლო 760 შემთხვევაში არ იძებნება მისამართი და საარჩევნო სიაში არ არის 1 186 ადამიანი. ეს კი ჯამში 16 037 ამომრჩეველს შეადგენს, რაც 90 000 ადამიანის 17,08 პროცენტია. ეს საკმაოდ საყურადღებო ციფრია, — განაცხადა კოკა გუნცაძემ.

გუნცაძის შეფასებით, ეს მაჩვენებელი მიანიშნებს, რომ ხელისუფლება განაგრძობს საარჩევნო სიების ფალსიფიკაციას და კეთილსინდისიერი არჩევნების ჩატარებას არ აპირებს. კოკა გუნცაძემ მაგალითად კერძო შემთხვევებიც მოიყვანა. ალტერნატიული „კარდაკარის" პროცესში დადგინდა, რომ ზუბალაშვილების ქუჩის 42-ში, სადაც საცხოვრებელი სახლი არ არსებობს, 7 ამომრჩეველია მიწერილი, ბახტრიონის 20 ნომერში 10 ამომრჩეველი, წერეთლის გამზირის 27 ნომერში კი — 20. მონაცემები, მოქალაქეთა განცხადებების და მათ მიერ შევსებული ანკეტების საფუძველზე დადგინდა.

კოკა გუნცაძის თქმით, სიების დაზუსტებას საარჩევნო პერიოდამდე „ამომრჩეველთა ლიგა" მთელი საქართველოს მასშტაბით მოასწრებს, რის შემდეგაც მონაცემებს ყველა შესაბამის უწყებას გადაუგზავნის, მათ შორის, კაციტაძის კომისიასაც. თუმცა, გუნცაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი მამუკა კაციტაძის საარჩევნო სიების დაზუსტების კომისიას არ ენდობა.

„ამომრჩეველთა ლიგა" მსგავს მონაცემებს ყოველკვირეულად გამოაქვეყნებს ორგანიზაციის ვებგვერდზე.

— ამომრჩეველთა სიებში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ჩვენ გადმოგვეცა საარჩევნო სია, სადაც ბინების მისამართები არ არის მიწერილი. მისამართები არის არეული. ოჯახის წევრები არის გაყოფილი. იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება ალტერნატიული საინფორმაციო საშუალებების გადაკეტვას ცდილობს, ცდილობს გადაკეტოს ალტერნატიული ფინანსური წყაროები, უხეში ძალის გამოყენებითა და აგრესიით ჩაშალოს ამომრჩევლებთან შეხვედრები. ამ ფონზე დამატებით ერთიან საარჩევნო სიაში, ჩვენი ინფორმაციით, პირველ ეტაპზე დაახლოებით 18 პროცენტიანი ფალსიფიკაციის საფუძველი მკაფიო სიგნალია, რომ ხელისუფლება დღევანდელი მოცემულობით არ აპირებს კეთილსინდისიერი არჩევნების ჩატარებას, — განაცხადა კოკა გუნცაძემ.

გუნცაძის განცხადებით, მან წარმოადგინა ფაქტები, რომელსაც გვერდს ვერავინ ვერ აუვლის.

მის ხელთ არსებული ცდომილებების ამსახველ მასალას, როგორც გუნცაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გადაუგზავნის სახელმწიფო კომისიასაც და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებსაც.

შორენა კოწოწაშვილი

# ფიქრია ჩიხრაძე: საქართველოში ერთპარტიული მმართველობა უნდა დასრულდეს!“

**— ძალიან ვწუხვარ, რომ დიდი ფულისა და დიდი ძალაუფლების შეჯახების პოლიგონად უნდა გადაიქცეს საარჩევნო პერიოდი. ყველანაირად შევეცდებით, ეს შეჯახება საქართველოსთვის ზიანის მომტანი არ იყოს, — აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.**

არიან თუ არა ახლები ხელისუფლებასთან დამთბარ ურთიერთობაში და რა პრეტენზიები აქვთ ახლებს ნაციონალურ ტელევიზიებთან? — ამ და სხვა საკითხების ირგვლივ ფიქრია ჩიხრაძე გვესაუბრება.

***— ქალბატონო ფიქრია, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას? იგრძნობა, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია, არჩევნებით მოხდეს ხელისუფლების ცვლა? საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთი დემოკრატიულ არჩევნებს ითხოვს.***

— ხელისუფლება არანაირად არ არის დაინტერესებული, რომ მოხდეს ხელისუფლების ცვლილება. პირიქით, მათ ძალიან უნდათ, მოხდეს ხელისუფლების შენარჩუნება და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. მაგრამ მეორე მხარეა, საერთაშორისო საზოგადოება რამდენად დაინტერესებულია და ქმედით ნაბიჯებს დგამს იმისათვის, რომ ხელისუფლების ეს სურვილი არ იყოს, ასე ვთქვათ, აპრიორი განპირობებული იმისათვის, რომ მათ ყველაფერი გააკეთონ ისე, რომ ამ შემთხვევაში საერთაშორისო ოპონირება არ ხდებოდეს. ვფიქრობ, ბოლო პერიოდში, მიუხედავად ბევრი სირთულისა, სწორედ საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლით გადაიდგა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც შეიძლება თუნდაც ერთი წლის წინ იყო მოთხოვნის საგანი, მაგრამ ამ მხრივ ნაბიჯები არ იდგმებოდა. სულ ბოლო მაგალითებიდან რომ დავიწყოთ, იგივე მასტქერის პრინციპი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ინფორმირება ხდებოდეს და სხვათა შორის, ეს ინიციატივა ჩვენ გასული წლის სექტემბერში წამოვწიეთ „მაესტროსთან“ დაკავშირებით შექმნილი პრობლემების გამო. მაგრამ მაშინ ეს იდეა დიდად იმ სეგმენტმაც კი არ აიტაცა, რომელიც თვითონ უნდა ყოფილიყო ამით დაინტერესებული. მაგრამ დღეს ამას მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია, საერთაშორისო საზოგადოების სურვილი და მოწადინება ძალიან დიდი იყო, რომ ეს პრინციპი განხორციელებულიყო. ძალიან მნიშვნელოვანია, უშუალოდ მედია მონიტორინგი ხორციელდება და არა უშუალოდ საარჩევნო წელს, არამედ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მაინც არა ვართ კმაყოფილი იმით, რაც ხდება, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მემარჯვენეების გადასახედიდან ვიტყვი: ჩვენ ყოველდღიურად უამრავ შეხვედრას ვმართავათ ამომრჩევლებთან. ამ შეხვედრებიდან შუქდება მხოლოდ ერთი და ისიც წამიერად. ამ სიუჟეტს თვალს მოჰკრავს შენი ამომრჩეველი და შენი სათქმელი ამომრჩევლამდე, რა თქმა უნდა, ბოლომდე არ მიდის. მაგრამ, სულ არგამოჩენასთან შედარებით, ეს წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა თანაბრობის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემაა. ხელისუფლებას ჰქონდა უპირატესი მდგომარეობა ყოველთვის ნაციონალურ მაუწყებლებზე და დღესაც ეს უპირატესობა აქვს შენარჩუნებული. და ე.წ. ოპოზიციურ არხებზე, რომლებსაც ნაკლები მაუწყებლობის არეალი გააჩნიათ, ე.წ. მე არ ვამბობ რაიმე გაგებით, ასე უწოდებენ დღეს ამ არხებს. ისინი, სამწუხაროდ, დღეს აღმოჩნდნენ ერთი პოლიტიკური კოალიციის აქტიური მხარდამჭერები და, შესაბამისად, იქაც ძალიან ძნელია, რომ შენი მოსაზრება გაიტანო და მიიტანო ამომრჩევლამდე. ასე რომ, ერთია ის, რაც მონიტორინგის შედეგად იქნა გარანტირებული, მაგრამ მეორეა, როცა მე, მაგალითად, საკუთარ პრესკონფერენციას და საკუთარ მოსაზრებას თვითონ ვერ ვცნობ ხოლმე, ისეთი დაჭრით ან ინტერპრეტაციით გადის ეთერში. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. მაგრამ უახლოეს თვეებში ამის მოგვარებისა და გადაჭრის პერსპექტივა დიდად არ ჩანს. აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში უკვე გაჩნდა გარკვეული დაძაბულობის ნიშნები. ოღონდაც საარჩევნო პერიოდი წავიდეს ისე, რომ პოლიტიკური მოსაზრებებით, პოლიტიკური კონკურენციით წარიმართოს და არა მუშტი-კრივით. ეს ეხება ყველას. ხელისუფლებას, რომელიც ამას ყოველთვის იყენებდა და არამარტო საარჩევნო პერიოდში და ეს ეხება ოპოზიციასაც, რომელმაც ყველანაირად უნდა აიცილოს მსგავსი პროვოკაციები, თუ ხელისუფლებიდან მოდის, მით უმეტეს, თვითონ არ უნდა ჩაებას, ასე ვთქვათ, ისეთ პროცესებში, რომელიც ზოგადად დამაზიანებელია საარჩევნო პროცესში.

***— საერთაშორისო საზოგადოება ითხოვს, ხელისუფლებამ დემოკრატიული პრინციპები დაიცვას და თანაბარ პირობებში წარიმართოს წინასაარჩევნო პროცესი. უკვე იკვეთება ამ პოზიციის იგნორირება სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან?***

— არა, იგნორირებას ამას ვერ დავარქმევდი, მაგრამ, რაც ზემოთ მოგახსენეთ, სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ ამ მხრივ თანასწორობა არ არის დაცული. ერთია გარეგნული ეფექტი, როცა ესენი გეუბნებიან, რომ მე შენ გაგაშუქე დღის განმავლობაში, მეორეა შინაარსობრივი ეფექტი, ანუ საზოგადოება ამ გაშუქებისას იღებს თუ არა შენგან ადეკვატურ ინფორმაციას. ვფიქრობ, ეჭვი არავის ეპარება, რომ მემარჯვენეები, კონკრეტულად ვთქვათ, ფიქრია ჩიხრაძე იმდენს ვერ ახერხებდეს, რომ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება არ შეეძლოს. ექსპერიმენტისთვის რომ ავიღოთ ეს სიუჟეტები, თქვენ ნახავთ, რომ აბსოლუტურად გაუგებარი კონსტრუქციითაა აგებული, ეს არის გაჭრილი და გადაწებებული ერთმანეთზე და, შესაბამისად, იკარგება შინაარსი. რადგან ეს არ არის პირდაპირი ეთერი, ძნელია აკონტროლო. ვალი მოხდილი აქვთ შენ წინაშე და მონიტორინგის წინაშე, რომ შენ იმ დღეს ხარ გაშუქებული, მაგრამ რეალურად შენი სათქმელი, შენი გზავნილი სრულფასოვნად არ მიდის ამომრჩევლამდე. ეს არის პრობლემა სწორედ და, ამ კუთხით თუ შევხედავთ, გამოდის, რომ არ სრულდება. სააკაშვილი ხშირად გველაპარაკება ღია ეთერით, ან, თუ ღია ეთერით არა, განუწყვეტლივ მიდის მისი მოსაზრებები. კი ბატონო, გეტყვიან, რომ ის ქვეყნის პრეზიდენტია, მისი აქტივობა სხვანაირად შუქდება და პოლიტიკური პარტიების — სხვანაირად. მაგრამ ამ შემთხვევაში ელემენტარული ეშმაკობაა, რადგან სააკაშვილი წარმოადგენს ნაცმოძრაობის ლიდერს და ის ნაციონალების აქტივში ჩასაწერად ლაპარაკობს. შესაბამისად, გამოდის, რომ ნაციონალურ მოძრაობას ბევრად მეტი დრო ეთმობა, ვიდრე ოპოზიციურ პარტიებს. ეს ხდება ნაციონალურ არხებზე. ოპოზიციურ არხებზე კი დიდი დოზით უკვე ბიძინა ივანიშვილია და კოალიციაში შემავალი პოლიტიკური ძალები. იქ უკვე ისეთი მდგომარეობაა, შეიძლება, საერთოდ ველარც კი გამოჩნდეთ.

***— რადგან ივანიშვილი ახსენეთ, რით ახსნიდით პოლიტიკურ წნეხს, რომელიც „ქართული ოცნების“ ლიდერის მიმართ ხორციელდება. მართლაც დანაშაულის ნიშნებს პოულობს ხელისუფლება თუ სააკაშვილის პირადი ანგარიშსწორებაა ივანიშვილთან მიმართებით?***

— პირადი ანგარიშსწორების რა გითხრათ. ეს არის პოლიტიკური ბრძოლა, რომელმაც, ვფიქრობ, სახარბიელო მიმართულება არ შეიძინა, როდესაც თავიდან ბიძინა ივანიშვილზე პრეტენზია მქონდა, რომ მას სწორედ ასეთი რამ უნდოდა ყოფილიყო, რომ მხოლოდ ის და სააკაშვილი დასტაკებოდნენ ერთმანეთს საარჩევნო ველზე. მე ვფიქრობ, დატაკება კი არ უნდა ყოფილიყო მთავარი არჩევანი, არამედ უნდა ყოფილიყო რეალური პოლიტიკური ალტერნატივის, რეალური პოლიტიკური პროცესის შეთავაზება და მრავალპარტიული მომავლის გარანტირება. სააკაშვილმაც ზუსტად იგივე არჩევანი შემოგვთავაზა 2003 წლიდან მოყოლებული, დღემდე. მან უნდა დახატოს მტრის ხატი და მას ებრძოლოს. ამ ორმა ძალამ თითქოს არა წინასწარ შეთანხმებით, მაგრამ ერთმანეთისთვის საკმაოდ მომგებიანი მდგომარეობა შექმნეს. სააკაშვილსაც ხელს აძლევს, ჰყავდეს მტრის ხატი და ივანიშვილმაც ასეთი ნაბიჯები გადადგა პოლიტიკაში შემოსვლისთანავე. ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, რომ ივანიშვილის მთავარი სისუსტეც და მისი მთავარი ძალაც და უპირატესობაც არის მის დიდ ფინანსებში. ამ ძალას ის აქტიურად იყენებს დღევანდელ პოლიტიკურ პროცესში და, შესაბამისად, ხელისუფლებაც იმ სისუსტეს, რაც შეიძლება დიდი ფულის ხარჯვას ახლდეს საარჩევნო პროცესში, იყენებს და უპირისპირებს იმ მეთოდებსა და ნაბიჯებს, რომელიც ამ ბოლო დროს იქნა გადადგმული.

***— არასამთავრობო სექტორის მიერ არასამართლიანად ფასდება ფინანსური პოლიტიკური წნეხი ივანიშვილის მიმართ. არასამართლიანად შეფასდა სასამართლოს გადაწყვეტილებებიც.***

— რა გითხრათ, სასამართლო დიდი ხანია არ არსებობს ამ ქვეყანაში. შესაბამისად, ამ მიმართულებით ამ შემთხვევაშიც მოულოდნელი არაფერი ხდება. მე, უბრალოდ, ძალიან ვწუხვარ, რომ დიდი ფულისა და დიდი ძალაუფლების შეჯახების პოლიგონად უნდა გადაიქცეს საარჩევნო პერიოდი და ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, ეს შეჯახება საქართველოსთვის ზიანის მომტანი არ იყოს. პირიქით, ის შანსი, რომელიც საქართველოს 2012 წლის არჩევნებით შეიძლება მიეცეს, მაქსიმალურად იყოს გარანტირებული, რომ მართლაც გამოვიდეს ქვეყანა იმ მოჯადოებული წრიდან, რასაც ჰქვია პერიოდულად ახალი პოლიტიკური ბელადის, მესიის გაჩენა, მის გარშემო საზოგადოების დარაზმვა, მერე დიდი პროცენტით მისი არჩევა და შემდგომ რევოლუციური პროცესის დაწყება. სამწუხაროდ, ეს მოჯადოებული წრე არ დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი დღიდან. ვფიქრობ, ეს არჩევნები ამ მხრივაც სერიოზული შანსია, რომ თუ ჩვენ გავიზარდეთ, როგორც საზოგადოება და თუ ვისწავლეთ საკუთარ შეცდომებზე, ეს გაზრდილი ცოდნა სწორედ ამ პერიოდში გამოვავლინოთ. ეს არჩევნები საქართველოსთვის ზიანის მომტანი კი არა, პირიქით, სერიოზული სიკეთის მომტანი უნდა იყოს.

***— პოლიტიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიტიკას დღეს ივანიშვილი წარმართავს და არა სააკაშვილი. იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას და რომელია ამ ეტაპისთვის გამარჯვებული?***

— შეიძლება სააკაშვილს აქვს დიდი ძალაუფლება, ივანიშვილს — დიდი ფული და მათ აძლევს შესაძლებლობას საზოგადოების დიდი ნაწილი, რომ მთელი პროცესი მათ გარშემო ტრიალებდეს, მაგრამ მე ვარ ასევე კონკურენტული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ორივე ძალის მიმართ. არანაირი ვალდებულება არა მაქვს, ვილაპარაკო, როგორც ექსპერტმა, სააკაშვილი უფრო ძლიერია თუ ივანიშვილი. ერთი რამ ვიცი, არც სააკაშვილი უნდა იყოს უმრავლესობით ხელისუფლებაში და არც ივანიშვილი, იმიტომ რომ აბსოლუტურმა ძალაუფლებებმა საქართველოს, ზიანის გარდა, არაფერი მოუტანა. ჩვენ გავაცნობიერეთ ის ზიანი, რომელიც მოგვიტანა 2003 წლის შემდგომ სააკაშვილის ხელში თავმოყრილმა აბსოლუტურმა ძალაუფლებამ. ასევე უნდა გავაცნობიეროთ, რომ საზიანო და სახიფათოა ის სურვილი, რომელიც დღეს ივანიშვილს გააჩნია, რომ მანაც აბსოლუტური ძალაუფლება უნდა აიღოს ხელში. მე ყველაფერს გავაკეთებ, როგორც ერთი პოლიტიკური ძალის — „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი, რომ ერთი დომინანტური პოლიტიკური ძალა აღარ იყოს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და რეალური მრავალპარტიულობის მონახაზი გაჩნდეს უკვე წინასაარჩევნო პერიოდშივე.

***— დაბოლოს, კონტროლის პალატისა და კონკრეტულად მოგელაძის უწყების გააქტიურების შემდგომ არაერთხელ ითქვა, რომ ის მხოლოდ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ არის გააქტიურებული და სხვა პარტიებთან მას პრეტენზიები არ აქვს. ახლებთანაც თუ ჰქონდა პრეტენზიები კონტროლის პალატას და ფინანსური წნეხი, ჯარიმები თქვენზეც განხორციელდა?***

— ის, რომ „ქართული ოცნება“ განუზომლად დიდ ფულს ხარჯავს არჩევნებში, შესაბამისად, ნიშნავს, რომ განუზომლად დიდი შეიძლება იყოს ინტერესი მისი ფინანსების მიმართ. რაც შეეხება კანონის მოთხოვნებს, აბსოლუტურად როგორც, ალბათ, ყველა პოლიტიკურ ძალასთან, ჩვენთანაც ჩვეულებრივად მოდის მომართვები. ჩვეულებრივად ვაგზავნით ჩვენს ანგარიშებს, მოწმდება ეს ანგარიშები და მათ შორის გართულებაც იყო. ჩვენი ერთ-ერთი შემომწირველის, ჩვენი მთავარი კომიტეტის წევრის მიმართაც დაიწყო საქმის მოძიება, გამოკითხვა და ჩვენ ვალდებული ვართ, წარვადგინოთ იქ დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს ამ ადამიანის შემოსავლებს. უბრალოდ, ჩვენ ეს არ გვიქცევია არც პოლიტიკის მთავარ თემად და, კიდევ ვიმეორებ, მასშტაბი იმდენად განსხვავებულია ამ ფულის ხარჯვისა, რომ ჩვენ რანაირად უნდა შევეჯიბროთ „ქართულ ოცნებას“ ამაში. თუ ეს ვინმემ აიღო კრიტერიუმად, რომ კონტროლის პალატას ნაკლები მოსადავებელი აქვს „ახალი მემარჯვენეების“ მიმართ, მე ვფიქრობ, ძალიან არასწორი იქნებოდა და, მით უმეტეს, ამის საფუძველზე კიდევ დასკვნა გავაკეთოთ, რომ ეს რაღაც დამტკბარ და დამთბარ ურთიერთობას ნიშნავს.



**„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე ფიქრობს, რომ ივანიშვილის მთავარი სისუსტეც და მისი მთავარი ძალაც და უპირატესობაც მის დიდ ფინანსებშია.**

# შემზარავი და სამარცხვინო 8 ნაციონალური“ წელი

გულიკო ბალაძე

**ალბათ, დადგება დრო, როცა „ნაციონალური“ ხელისუფლების ნამოქმედარს შეაფასებენ. ამაში აუცილებლად დაეხმარებათ ის ფილმი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლის“ ოფისში აჩვენეს.**

ფილმის („არაჩვეულებრივი ფაშიზმი“) რეჟისორია ამირან ამირანაშვილი, საერთაშორისო რადიოსა და ტელევიზიის აკადემიის აკადემიკოსი. მას გადაღებული აქვს 47 ფილმი და მოპოვებული აქვს 17 საერთაშორისო პრიზი.

ფილმმა გულგრილი არავინ დატოვა. „ჯაზუში“ შეკრებილმა ადამიანებმა დარბაზი თვალცრემლიანებმა და შეშფოთებულებმა დატოვეს. მით უმეტეს, რომ ფილმში უკომენტაროდ ნაჩვენები კადრები მათთვის ცნობილი იყო, უფრო მეტიც, უმეტესობამ საკუთარ თავზე გამოსცადა სააკაშვილის რეპრესიების სუსხი.

ფილმში რეჟისორი ტექსტს არ იყენებს. ის კლასიკური მუსიკის (რაველის „ბოლეროსა“ და შოსტაკოვიჩის მე-11 სიმფონიის) ფონზე ნაჩვენები ფაქტების ამსახველი დოკუმენტური კადრებით გვესაუბრება. ფილმი ასახავს ნაციონალური მოძრაობისა და სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისა და ყოფნის 8 წლიან პერიოდს.

ფილმის პირველ ნაწილში ნაჩვენებია, როგორ მოვიდა ეს ტალღა სათავეში, როგორ ვცხოვრობდით ბუხენვალდში და როგორ გავიკაფეთ გზა ოსვენციმისაკენ.

ფილმი იწყება შევარდნაძის ჩვენებით იმ პერიოდში, როცა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები უკვე ჩატარებულია. მიხეილ სააკაშვილი კი მოუწოდებს ხალხს, ნანა დევდარიანის გამოცხადებულ შედეგებს არ ენდონ, ამ არჩევნებით არჩეულ პარლამენტს უარი უთხრან, რადგან ის არ იქნება ხალხის ნების გამომხატველი.

შემდეგ ჟვანია ჩანს კიბეზე ჩამომჯდარი მარტოდმარტო, შევარდნაძე კი ფერმაში ძროხებს ეფერება.

ამას მოსდევს კადრები იმის შესახებ, სააკაშვილის და მისი თანმხლები პირების გამოჩენას როგორი გაწევ-გამოწევა მოსდევს (სხვათა შორის, ამაზე შემდეგ ითქვა, რომ სააკაშვილი ამ სიტუაციას თვითონ ქმნიდა თავისი მაშინდელი ზონდერბრიგადების მეშვეობით – გ.ბ). სააკაშვილი მიდის დიდ მიტინგზე. მას ხალხი ტაშს უკრავს. ის სიტყვით გამოდის და აცხადებს, რომ შევარდნაძე უნდა წავიდეს.

შევარდნაძე კი ნაცმოძრაობას თავისთან იწვევს სამსჯელოდ. სააკაშვილი კი ამბობს:

– პრეზიდენტი, რომელიც საკუთარ ხალხს ასე გაურბის, ის არ შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტი იყოს.

შევარდნაძეს ეუბნებიან სიმართლეს. შევარდნაძე კი აცხადებს, რომ ერთი არხი, თუნდაც I-ლი, მაინც უნდა მუშაობდეს და აშუქებდეს ყველაფერს, მათ შორის, ხელისუფლების თაობაზე.

ჟვანია მოუწოდებს ხალხს, მათ გაყვნენ. არის გაწევ-გამოწევისა და ცემა-ტყეპის კადრები.

ერთი ძალიან ნიშანდობლივი კადრია ფილმში – ადამიანებს სცემენ, სააკაშვილს კი ამაზე ეღიმება.

ამ პერიოდში ე.წ. ვარდების რევოლუცია რომ მზადდება, სააკაშვილი ჯერ თბილისის საკრებულოს შენობიდან მიმართავს ხალხს. შემდეგ კი ჩანს, რომ ზუგდიდის ავტობუსით (ალბათ, ესეც არ იყო შემთხვევითი) ხალხთან ერთად მოემართება თბილისისაკენ. მათ ხელს არავინ უშლის. ავტობუსზე ნინო ბურჯანაძის დიდი ფოტოა გაკრული.

სააკაშვილი აცხადებს, რომ შევარდნაძე უნდა გადადგეს. მისთვის თვითმფრინავია გამზადებული, დაჯდეს და წავიდეს. ის დარწმუნებულია, რომ შევარდნაძე გადადგება. ფილმის პირველ ნაწილის დასასრულს არის პარლამენტში სააკაშვილის შეჭრის ცნობილი კადრები, ჩაის მირთმევა, შევარდნაძის იქაურობისთვის გარიდება და შეკითხვა შევარდნაძეს: „ვის აბარებთ საქართველოს?“ შევარდნაძე პასუხობს, რომ ეს მისი საქმე აღარ არის.

ფილმის მეორე ნაწილს ჰქვია „ნოუ კომენტ“, სადაც უკომენტაროდაა ნაჩვენები თბილისის ქუჩებში ახალგაზრდების ხოცვის, ხალხის ცემა-ტყეპის, ხოცვა-ჟლეტის, დასახიჩრების შემზარავი კადრები. რეჟისორს არ გამორჩენია თაბუკაშვილის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის ნგრევა, როცა გაუფრთხილებლად სახლებიდან ქუჩაში გამოყარეს ეტლებში მსხდომი უმწეო მოხუცებიც კი. ჩანს, პატარა ბიჭი, რომელიც ზის და ტირის, რადგან მას სახლი დაუნგრიეს.

ამას მოსდევს შვილის საფლავზე ირინა ენუქიძის გოდება (ადამიანები პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოდიან, თბილისის ქუჩებში უკვე პროტესტის კოლონებია), 7 ნოემბრის ამსახველი საშინელი კადრები – გაზის გაშვება, კბილებამდე შეიარაღებული სამხედროები და პოლიციელები ზონდერებთან ერთად ხალხს რომ მისდევენ. სამხედროები ნიღბებითა და აირწინაღებით არიან გამოსული. ყველგან სცემენ უდანაშაულო ადამიანებს, სასტიკად უსწორდებიან წაქცეულებსაც, ჯოხით, ე.წ. რკინის დუბინკითა თუ გაზით. ერთ მოქალაქეზე 10 მოძალადე მოდის. ძალოვანები ქუჩაში გამოსული არიან არა წესრიგის დასამყარებლად, ან ხალხის დასაშლელად, არამედ ადამიანების ჩასაკლავად. შემზარავი კადრებია.

არანაკლებ შემზარავი და შეურაცხმყოფელი 26 მაისის ხოცვა-ჟლეტის კადრები. ბოლოს კი ნაჩვენებია ორი მხარე – ხალხი და ძალოვნები, რომლებიც იძახიან „გაუმარჯოს საქართველოს“.

ნანახით გაოგნებული და შეძრწუნებული ადამიანები ტოვებენ ასევე თბილისის ქუჩებში დახოცილი ბიჭების ფოტოებით მოფენილ დარბაზს. მათ თვალწინ გაცოცხლდა შემზარავი და სამარცხვინო 8 „ნაციონალური“ წელი.

ყველა ერთმა აზრმა შეიპყრო – ეს სააკაშვილს და მის ხელისუფლებას არ უნდა ეპატიოს.

ეს აზრი, ფაქტობრივად გაიმეორა შვილმკვდარმა მამამ იური ვაზაგაშვილმა. მან განაცხადა, რომ „ეს საშინელება არ უნდა დაგვავიწყდეს და არ უნდა ვაპატიოთ. არ შეიძლება ხელისუფლება ისე იქცეოდეს, როგორც მიხეილ სააკაშვილი და მისი კრიმინალური დაჯგუფება იქცეოდა და იქცევა, – აცხადებს იური ვაზაგაშვილი, – ეს არის კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რომ არ უნდა შევეგუოთ ასეთ ხელისუფლებას და არ უნდა შევარჩინოთ ჩადენილი დანაშაული“.

ჩვენ ვესაუბრეთ რეჟისორს ამირან ამირანაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ ფილმში მან თავისი ტკივილი ასახა.

– ფილმში შეძლებისდაგვარად აღწერილია ნაცმოძრაობის პერიოდიდან, 2003 წლიდან მოყოლებული, როგორ მოვიდა სააკაშვილი და მისი ჯგუფი ხელისუფლებაში და შემდეგ როგორ გართულდა სიტუაცია, განაცხადა მან.

– ბატონო ამირან, ამ სახის ფილმის გადაღების მიზანი რა იყო?

– ფილმში ავსახე ის, რაც მე მტკივა.

– საზოგადოებას რას ეტყვის ეს ფილმი?

– საზოგადოებას ეს ფილმი აჩვენებს სიმართლეს. ფილმში საერთოდ არ არის ტექსტი. ფილმი აწყობილია ორ მუსიკაზე. ეს არის რაველის „ბოლერო“ და შოსტაკოვიჩის მე-11 სიმფონია. ფილმი აჩვენებს, რა არის ამ მთავრობის საქართველო და რა არის ხალხის საქართველო. ფილმში ისმის ორი ფრაზა, რომელსაც ორი მხარე წარმოთქვამს. ეს არის ხალხი, რომელიც ყვირის „გაუმარჯოს საქართველოს!“ და არიან ზონდერბრიგადები, რომლებიც ყვირიან „გაუმარჯოს საქართველოს!“. ფილმში ჩანს, რა არის ამ ორი დაპირისპირებული მხარის საქართველო. ხალხის საქართველოა ქვეყანა, სადაც არის თავისუფლება, დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება. ზონდერბრიგადების საქართველო კი არის ქვეყანა, სადაც შეუძლიათ წაქცეულ კაცს 30-მა კაცმა სცემოს.

– ფილმს სათაური „არაჩვეულებრივი ნაციზმი“ რატომ დაარქვით?

– არის ჩვეულებრივი ნაციზმი. მიხალკოვმა გადაიღო ფილმი „ჩვეულებრივი ნაციზმი“. თქვენ იცით, ნაცისტი ჰიტლერი და გერმანია. ჰიტლერი თავისი ხალხისთვის ძალიან კარგი იყო. გერმანელები იმ პერიოდში ბრწყინვალედ ცხოვრობდნენ. ჩემს ფილმს „არაჩვეულებრივი ფაშიზმი“ იმიტომ ჰქვია, რომ ამათ თავისი ხალხისთვის არაფერი გაუკეთებიათ. პირიქით, სააკაშვილი თავის ხალხს ისე ექცევა, როგორც დაპყრობილ ადამიანებს.

– ხალხისთვის არაფერი გაუკეთებიათ და არც უნდათ გააკეთონ?

– ალბათ, არ უნდათ, თორემ 8 წელიწადი ისეთი დროა, ბევრი რამ გაკეთდებოდა. იმიტომ დავარქი „არაჩვეულებრივი ნაციზმი“.

– როგორ ფიქრობთ, როგორ აღიქვამს საზოგადოება თქვენს ფილმს?

– არ ვიცი, საზოგადოება როგორ აღიქვამს. ფილმი დოკუმენტურია. არაფერი დადგმული არ არის. ყველაფერი არის ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა. ბევრი კადრი ნანახი გაქვთ. მე უბრალოდ ფორმა მივეცი და გაჩვენეთ.

– ფილმი „ჯაზუში“ იმიტომ ხომ არ აჩვენეთ, რომ აქ, ფაქტობრივად, არის ამ ხელისუფლებას შეწირული ბიჭების ფოტოების გალერეა?

– არა. ეს არის საზოგადოებრივი დარბაზი, სხვაგან ჩვენების საშუალება არ გვქონდა.

ამ ფილმის თაობაზე ჩვენ დამსწრე საზოგადოების შეფასებები ჩავიწერეთ.

ჯაბა ჯიშკარიანის განცხადებით, ეს საზოგადოებამ უნდა განსაჯოს

– ფილმმა მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ეს საზოგადოებამ უნდა განსაჯოს. ვთხოვ ყველა ტელეკომპანიას (რა თქმა უნდა, ოპოზიციურს, რადგან სახელისუფლებოს ამის ნება არ აქვს), გაუშვან ეს ფილმი და კიდევ ერთხელ გაახსენონ ხალხს, რა ხდებოდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოში, რას უშვრებოდა სააკაშვილი თავის ხალხს და ერს, – განაცხადა ჯაბა ჯიშკარიანმა.

მსახიობ სოსო ჯაჭვლიანის თქმით, თუ ყელამდე სისხლში მყოფ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას პასუხი არ მოვთხოვეთ, მომავალში უარეს მთავრობას მივიღებთ.

– ეს საკუთარ ხალხს როგორ უნდა გაუკეთო, ბოლმამ დამახრჩო. რაც საქართველოში ხდებოდა, ეს არის თითოეული ჩვენთაგანის ბრალი. „ნაციონალები“ მოვიდნენ, დაიჭირეს ერთი, სცემეს, წაართვეს, მოკლეს. ჩვენ ყველა კი ვქირქილებდით, ასე მოუხდებათო. თუ ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, იგივე მდგომარეობას მივიღებთ. თითოეული მათგანი თუ არ დაისაჯა ჩადენილი დანაშაულის გამო, უარეს და უარეს მთავრობას მივიღებთ. თითოეული ჩვენთაგანი იქნება დამნაშავე, როცა ესენი შეიცვლებიან და პასუხს არ აგებენ. ყველამ პასუხი უნდა აგოს, ვინც კისრამდე სისხლშია. თუ მათ პასუხი არ აგეს, ამაზე უარეს მთავრობას მივიღებთ. მე პირადად არ დავინდობ იმიტომ, რომ შემდეგ ხალხი აღარ დაგვიჯერებს. კლასიკა კარგია, მაგრამ ამ ფილმს სვანური მირანგულა და ზარი მოუხდებოდა, – აცხადებს სოსო ჯაჭვლიანი.

უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია აცხადებს, რომ სააკაშვილის მენტალიტეტი საქართველოს უფსკრულისკენ წაიყვანს.

– ადამიანმა რომ გაგფატროს, რომ ამოგიღოს გული და ყველაფერი, რაც ადამიანურია, ადამიანის არსზე რომ დაგაფიქროს და მიუხვდე, რა უბედურების წინაშე დგახარ, რა სატანისტურ კლანჭებშია მოქცეული ეს ქვეყანა და კიდევ რა წალეკვით შეიძლება ემუქრებოდეს ქვეყანას, თუ არ გადაიდგა ისეთი ნაბიჯი, მართლა უფსკრულიდან რომ ამოიყვანს, – ამბობს თენგიზ დიხამინჯია.

– ჩვენ ეს ყველაფერი ვიცოდით, ეს კადრები არაერთხელ გვინახავს და დარბევების სუსხი საკუთარ თავზეც გვიგრძნია, მაგრამ მაინც ძალიან მძიმე იყო იმის ნახვა, რაც ფილმშია.

– ფილმი უმძიმესი და გამაოგნებელი სანახავი იყო. საუკუნეების ცოდვის უღელი რომ დაადგება ერს კისერზე, ისეთი ფაქტების მომსწრენი ვართ.

– მგონი, მტერი არ კადრულობს წაქცეულის ცემას, ჩვენთან კი, ერთ წაქცეულ და თავგატეხილ ადამიანს 10 კაცი სცემს სასიკვდილოდ და არც რცხვენიათ.

– ეს კიდევ უფრო შემაშფოთებელია, რაც დაკავშირებულია ქართველ ადამიანში (არამარტო ქართველში) მარადიული ფასეულობების, მარადიული ტრადიციების, მარადიული ღირებულებების ფეხქვეშ გათელვასა და წალეკვასთან. ებრძვიან იმას, რაც კი უნივერსალური არსებობს ქართველ ადამიანში და, საერთოდ, მოქალაქეში. ეს აჩვენებს, რომ ჩვენს ერს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს მოსაწესრიგებელი.

– შინაგანად?

– შინაგანად, უპირველეს ყოვლისა, მენტალიტეტში, ნებაში და, საერთოდ, თვითონ ადამიანის რაობაში.

– მენტალიტეტის შეცვლაზე თვითონ ნაციონალებიც საუბრობენ ხოლმე.

– თუ მენტალიტეტი ცუდი მომართულებით მიდის, ცუდია. თუ მენტალიტეტი მიდის, სიღრმისკენ, სილამაზისკენ, შეგნებისკენ, იდეალებისკენ, მაშინ სულ სხვა სახეს მიიღებს. ამ პრობლემის წინაშე დგას მთელი ქართველი ერი. ამ შემთხვევაში ჩვენს ერს აქვს ძალიან დიდი გამოწვევა.

– სააკაშვილის მენტალიტეტი საით წაიყვანს საქართველოს?

– სააკაშვილის მენტალიტეტი საქართველოს წაიყვანს უფსკრულისკენ, გადაგვარებისა და ქართველი ერის ღირებულებების აღმოფხვრისკენ. ნანახით გაოგნებული ვარ. ეს არის გამოსასწორებელი. გრძელვადიანი სამუშაოებია ჩასატარებელი, როგორც ჭყონდიდელმა და აღმაშენებელმა დაიწყეს თავის დროზე. არავინ იფიქროს, რომ ეს იოლად გამოსასწორებელია. საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, ვისთან გვაქვს საქმე.

ზაზა ხატიაშვილი:

– სააკაშვილის პირსისხლიან რეჟიმს 26 მაისი რომ შერჩა, იმიტომ იქცევა დღეს სააკაშვილი ასე. 26 მაისი იყო საკუთარი ხალხის განადგურების მიზნით ჩატარებული ოპერაცია, როცა ჩაიდინეს განზრახ მკვლელობები დამამძიმებელ გარემოებებში, რომელსაც იმიტომ ვერ მიეცა სამართლებრივი შეფასება, რომ ზოგიერთმა ვაიპოლიტიკოსმა თქვა, ძალის გადამეტებას ჰქონდა ადგილიო. სანამ საქართველოში ასეთი შეფასება იქნება ოპოზიციის იმ ნაწილშიც კი, რომ 26 მაისი იყო ძალის გადამეტება, „დემოკრატიის შუქურა“ მოვა და უარეს უბედურებებს ჩაიდენს. ასევე ამერიკის ელჩის როლი იყო ამ საქმეში. მას არ ჰქონდა უფლება, როცა გამოვიდა და თქვა, იქ ადამიანები არ უნდა იდგნენო. თუ მას ასე შესტკიოდა გული, უნდა გაეკეთებინა განცხადება, როცა პოლიციაში ქიმერიძე მოკლეს, ადამიანები აწამეს. ასობით მკვლელობა ხდება. როდესაც სააკაშვილმა წააგო არჩევნები, ამერიკის პრეზიდენტმა მიულოცა გამარჯვება, ამით დამთავრდა საქართველოს განვითარება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნისა. სანამ ეს მიდგომა არ შეიცვლება, იგივე განმეორდება.

ეს არის დოკუმენტური ფილმი, რომელიც შეიძლება სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის გასამართლებისას მტკიცებულებად გამოიყენონ.



'არაჩვეულებრივი ფაშიზმი", ანუ ფილმი, რომელიც შეიძლება სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ბრალდებად იქცეს

ნონა ცაბაძე

# კახა კუკავა: ბათუმში თურქული დროშები უფრო მეტია, ვიდრე ქართული“

**დღეს სააკაშვილს ბუმერანგივით უბრუნდება ის არასწორი პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა ბოლო წლების მანძილზე. ის მკაცრი ხაზი, რომელიც მან აირჩია, მისთვის დამღუპველია. ბევრად უკეთესი იქნებოდა, პროცესები მიეშვა ნებაზე, თუმცა მან აირჩია ის პოლიტიკა, რომელიც ყოველთვის წამგებიანი იყო. დღეს ის ცდილობს, ეს ოითქლი მოაქციოს ხუფში. დღეს საზოგადოება ითხოვს ცვლილებებს, საზოგადოებას უნდა ცვლილებები და ეს იგრძნობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ტოტალური უკმაყოფილებაა და მე ამას ძალიან კარგად ვგრძნობ, _ აცხადებს ახალ თაობასთან ინტერვიუში კახა კუკავა.**

**კახა კუკავა:**

– ბევრ საარჩევნო კამპანიაში მიმიღია მონაწილეობა და თუ დავუშვათ, 2007-2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, იყო ეს არგუმენტი სხვადასხვა დოზით, რომ აი, რა გინდათ, ქვეყანა ხომ შენდება, შევარდნაძეს ხომ ჯობია, ეს არგუმენტი მცირდებოდა შემდგომში და ახლა შეიძლება ითქვას, რომ ნულამდე იქნა დასული. დღეს სააკაშვილის იდეური მომხრეები არც ერთ რეგიონში არ არიან. არიან კონკრეტული, ჰონორარგადახდილი პირები, რომლებიც მიშას გაიძახიან. რეალურად სააკაშვილს არსად მხარდამჭერი არ ჰყავს.

***– რატომ, რამდენიმე დღის წინ ივანიშვილს უმტკიცებდა გორელი ქალბატონი, სააკაშვილი მარტო პრეზიდენტი კი არა, ჩემი ღმერთიაო...***

– დარწმუნებული ვარ, სააკაშვილისთვისაც დიდი ტრაგედიაა, როცა ამ კადრებს უყურებს, ვინ, ვინ და მან ხომ ყველაზე უკეთესად იცის, რომ ამ ხალხს მიღებული აქვს კონკრეტული ჰონორარი კონკრეტული თანამდებობის პირებისაგან, რომ ეს აკეთონ. მისი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, უკვე ჰონორარის გადახდის გარეშე ადამიანებს რომ აღარ უნდათ მისი მხარდაჭერა. არსებობენ საქართველოში რეიტინგული პარტიები, რომელთაც ჰყავთ ასობით ათასი მხარდამჭერი უანგაროდ და არიან პარტიები, რომლებსაც ათასობით და ათი ათასობით ჰყავთ. არიან სუსტი პარტიები, რომლებსაც რამდენიმე მხარდამჭერი მაინც ჰყავს ასეთი და მიხეილ სააკაშვილის ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ თუ მან კონკრეტული თანხა არ გადაუხადა ადამიანებს, ან თეატრის მსახიობები არ იქირავა, როგორც ეს შარშან გააკეთა, მარდამჭერები აღარ ჰყავს. მე ვფიქრობ, რომ ეს არის იმ არასწორი პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ის ატარებდა განსაკუთრებით ბოლო თვეების მანძილზე, როდესაც წავიდა საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი აზრი ეს არის ისეთი ნაკადი, ისეთი დინება, რომლის წინააღმდეგაც დიდხანს შეუძლებელია თავის გატანა.

***– თქვენ მოიარეთ დასავლეთ საქართველო, რა განწყობებია რეგიონებში?***

– ჩვენ ვხსნით საარჩევნო შტაბებს საქართველოს ყველა რაიონში და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ ჩვენი ელექტორატის მობილიზაციას. საქმე ისაა, რომ დღეს ორ სხვადასხვა ასპექტში მიმდინარეობს ბრძოლა. მთავარი ყურადღება საზოგადოებისა, რა თქმა უნდა, მიმართულია იქითკენ, რომ მიმდინარეობს ხელისუფლებისა და ოპოზიციის ბრძოლა და ეჭვგარეშეა, რომ ძირითადი ოპოზიციური ძალა დღეს არის ივანიშვილის კოალიცია. მეორე მხრივ, ცოტა უფრო ფართო პლანში თუ შევხედავთ მოვლენებს, ჩვენ ვნახავთ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ხელისუფლებას მუდმივად პროამერიკული ძალები ცვლიან. შევარდნაძე ვითომ დიდი ბრძოლის შედეგად შეცვალა სააკაშვილმა, ახლა ვითომ დიდი ბრძოლა არის და ეს უნდა ჩაანაცვლოს ისევ პროამერიკულმა კოალიციამ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს არის ერთგვარი ბორბალი, როგორც ციყვი, რომ ბორბალზე ვითომ მოძრაობს და სინამდვილეში ერთ ადგილას დგას. ჩვენი, თავისუფალი საქართველოს, ფუნქცია ზუსტად იმაში მდგომარეობს, რომ ამ ბორბლიდან ამოვვარდეთ და ქვეყანას ვუბიძგოთ განვითარების ალტერნატიული გზისაკენ, რომელიც იქნება ამ ამერიკული კონიუნქტურიდან გამოსვლა. რა თქმა უნდა, უმთავრესი ამოცანაა ქვეყანაში სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი, მაგრამ ღრმად მწამს, ვინაიდან მივიღეთ ორჯერ ასეთი გამოცდილება, რომ თუნდაც ახალი ხელისუფლება, რომელიც ამერიკული კონიუნქტურის ტყვე იქნება, იქნება ქვეყნისათვის ისეთივე წარუმატებელი, როგორიც სააკაშვილის რეჟიმი. ვისაც ამისი არ სჯერა და ვინც ეფუძნება იმას, რომ პერსონალურად სააკაშვილი რა ცუდია და ივანიშვილი რა კარგია, მე ვთხოვ, ყველამ გაიხსენოს 2003 წელი, როდესაც ზუსტად ეს არგუმენტები გვქონდა, რომ შევარდნაძე რა ცუდი იყო და სააკაშვილი რა კარგი. ჩვენ ხომ სააკაშვილი ასეთი არ გვახსოვს 2003 წელს? ის საზოგადოებას გულწრფელად უყვარდა და მასში მხოლოდ დადებით თვისებებს ხედავდა. ზუსტად ამაშია პოლიტიკაში წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა, რომ არა ადამიანის თვისებები, არამედ პოლიტიკური ინტერესები განაპირობებენ ხოლმე ქვეყნის ბედს და იღბალს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ქვეყნის ამოვარდნა, ამ ამერიკული ნეოკოლონიალიზმის კონიუნქტურიდან და საქართველოს მხრიდან იმ ამბიციის გაცხადება, რომ ჩვენ ვართ რეალურად დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელსაც სურს საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა.

***– ითქვა, რომ გაერთიანებებს და ახალი კოალიციის შექმნას გეგმავთ...***

– ჩვენ მზად ვართ ყველა ოპოზიციურ ძალასთან თანამშრომლობისათვის. ჯერჯერობით არ მიგვიღია გაცხადებული თანხმობა არც ერთი პოლიტიკური სუბიექტისაგან, თუმცა არც გამორიცხული არ ყოფილა რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტისაგან ასეთი თანამშრომლობის შესაძლებლობა და ჩვენც ჩვენი მხრიდან ამ კარს ღიას ვტოვებთ, რომ კონკრეტულად მაჟორიტარულ ოლქებში მოხდეს კანდიდატების ურთიერთშეთანხმება.

***– ქართულ ოცნებასთან მიმართებაში თუ იქნება შესაძლებელი ურთიერთთანამშრომლობა?***

– ჩვენი მხრიდან თანხმობა არის და რას გადაწყვეტს ქართული ოცნება, ამას ვნახავთ გარკვეულ ეტაპზე.

***– რაც შეეხება ქართულ დასს და ჯონდი ბაღათურიას, თქვენს გაერთიანებაზეც იყო საუბარი...***

– ჩვენ მათთანაც გვქონდა რამდენიმე შეხვედრა, ერთობლივი აქციაც გავმართეთ ბათუმში, თუმცა კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ფორმები იმისა, თუ ვის როგორ წარმოუდგენია ეს თანამშრომლობა, დაზუსტებული არ არის. რაც შეეხება არსებულ ვითარებას, გეტყვით, რომ დღეს სააკაშვილს ჩაერთო თვითგანადგურების ინსტინქტი, ის ველარ ფლობს საკუთარ მოქმედებებს და ამის გამო თავად აჩქარებს თავის აღსასრულს. ის სანქციები, რომელსაც ის იყენებს ივანიშვილის წინააღმდეგ, შეიძლება ეფექტური ყოფილიყო ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ, მაგრამ მილიარდერის წინააღმდეგ მილიონიანი ჯარიმები ვერ იქნება ის მეთოდი, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურ შედეგებს მოიტანს. ამიტომაც, მე ვფიქრობ, რომ საკითხი ნელ-ნელა მიდის კონფლიქტური ვითარების შექმნისაკენ და მინდა გითხრათ, რომ რამდენიმე თვის წინ მე ასე არ ვფიქრობდი. მე ვფიქრობდი, რომ ხელისუფლება შეეცდებოდა თავისუფალი არჩევნების ინსცენირებას და შედეგად თავისი ტექნოლოგიების გამოყენებით პირველი ადგილის მიღებას. როგორც ჩანს, ხელისუფლება შფოთავს, ხელისუფლება შიშობს და ამის გამო იყენებს ისეთ რეპრესიულ ზომებს, რომელიც, მე ვფიქრობ, გაამწვავებს ვითარებას და სიტუაციის გამწვავება არც ერთ შემთხვევაში ხელისუფლების წისქვილზე წყალს არ დაასხამს.

***– იმის საფრთხეს ხედავთ, რომ პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს?***

– კი, ამის საფრთხე ამ ბოლო დღეებში განსაკუთრებით გამოჩნდა, როდესაც ხელისუფლება ველარ იტანს უკვე 10 და 15 კაციან შეხვედრებსაც კი ოპოზიციურ ლიდერებთან. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან აშკარა საფრთხეს წარმოშობს, როცა თოფი კიდია პირველ მოქმედებაში, ის მესამე მოქმედებაში აუცილებლად გავარდება. როცა ასე აქტიურად აძლევს ხელისუფლება დავალებებს ზონდერ ბრიგადებს, სადღაც ეს შეტაკება აუცილებლად მოხდება და შემდგომ ეს ჯაჭვურ ხასიათს მიიღებს, თუ დროულად არ აღიკვეთა და მე ვერ ვხედავ, რომ ამის აღკვეთის რაიმე სურვილი არსებობდეს. ხელისუფლებას უნდა შევახსენო, ქუჩის პროცესებიდან ის გამარჯვებული ვერ გამოვა, ქუჩა ეს ისეთი სტიქია და ფენომენია, რომ ზუსტად მისი დაგეგმვა არის შეუძლებელი. განსაკუთრებით დღევანდელ საქართველოში, სადაც კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ 90% მოსახლეობისა ელის ცვლილებებს. გარწმუნებთ, რომ ეს განწყობები ადმინისტრაციულ აპარატშიც არსებობს. მე მახსოვს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როცა ჩვენ მოვიგეთ ერთ-ერთი საარჩევნო უბანი, რომელიც განთავსებული იყო მოდულის შენობაში, სადაც სოდის თანამშრომლები აძლევდნენ ხმას და მაშინ გაჩეჩილაძემ ეს უბანი მოიგო. შეიძლება სხვების დასანახად სოდის თანამშრომელი ასრულებდეს კიდეც გარკვეულ დავალებებს, მაგრამ ის თავად არ არის კმაყოფილი იმ ვითარებით, რაც დღეს ქვეყანაშია. ძალიან რთულია, ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ ხელფასზე და მოსყიდვის მოტივაციით ამუშაო ამ ქვეყანაში, როდესაც ყველა ხედავს, რომ ხელისუფლება ბოლომდე არის გაკოტრებული. ძალიან ბევრი რამე დაგროვდა, რომელსაც თავის დროზე არ ჰქონდა მწვავე რეაქცია საზოგადოების მხრიდან. თუნდაც ის, რომ წყალდიდობის შემდეგ, როდესაც აქ ოთხი ადამიანი დაიღუპა, ის მილანში წავიდა; ეს რას ნიშნავს, ამით ხომ მისივე მომხრეების თვალში გაკოტრდა. ხომ ყველასთვის გასაგებია, რომ ამ ადამიანს ეს ქვეყანა ფეხებზე კიდია. ეს მილანური ფოტოები ხომ მისმა მომხრეებმაც – გაბაშვილებმა, მინაშვილებმა და კუბლაშვილებმაც ნახეს? ქვეყნის მოსახლეობის 100%-მა იცის, სააკაშვილის ოჯახის წევრებმაც იციან, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველო ფეხებზე კიდია. აი, ეს არის, რაც მას ღუპავს და განასხვავებს იგივე 2007 წლის სააკაშვილისაგან, როცა საზოგადოებაში ჯერ კიდევ აზრი გაყოფილი იყო და როცა ვილაცას ჯერ კიდევ სჯეროდა მისი. ეს კაცი თვალს არ დაახამხამებს, ისე გაყიდის ყველას და ყველაფერს, მას საქართველო ფეხებზე კიდია.



***– ბათუმში გამართულ აქციებს რაც შეეხება, საუბარია, რომ დღეს აჭარის რეგიონში და კონკრეტულად ბათუმში საკმაოდ მძიმე ვითარებაა, რომ დგას ბათუმის დაკარგვის საშიშროება, რამდენად არის ეს ასე?***

– აი, სწორედ დღეს არის ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც მე ვსაუბრობ, ვითომ დღეს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიდის დიდი დაპირისპირება, მაგრამ რა საკითხებზე მიდის ეს დაპირისპირება? აბსოლუტურად საზოგადოებისთვის უინტერესო საკითხებზე, რაღაცა იურიდიულ, საარჩევნო, კონსტიტუციურ და მედია რეგულაციებზე. არა იმ საკითხებზე, რომელიც არის სამკვდრო სასიცოცხლო. სამწუხარო ის არის, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებზე ხელისუფლება და ძირითადი ოპოზიციური პარტიები არიან ერთი და იმავე პოზიციაზე და მხოლოდ თავისუფალ საქართველოს აქვს განსხვავებული ხედვა. აი, ბათუმის საკითხი არის ერთ-ერთი, როდესაც ბათუმში დაიწყო აზიზიეს კომპლექსის მშენებლობა, თავისუფალი საქართველო იყო გამონაკლისი პოლიტიკური ძალა, რომელმაც განაცხადა ღია პროტესტი და დაუპირისპირდა იმ კონიუნქტურას, რომელიც არსებობს ზოგადად ამერიკის შეერთებული შტატებისა და კონკრეტულად ამ რეგიონში მისი სტრატეგიული პარტნიორის, თურქეთის მხრიდან, რომლებიც აჭარას განიხილავენ, როგორც თავის გავლენის ზონას. აქ მხედველობაში მაქვს, როგორც აზიზიეს კომპლექსი, მხედველობაში გვაქვს თურქული დროშები და წარწერები, რომელიც დღეს ბათუმში უფრო მეტია, ვიდრე ქართული დროშები და ქართული წარწერები. მხედველობაში გვაქვს თურქი მუშახელი, რომელიც უფრო მეტია დასაქმებული ბათუმში და მთლიანად აჭარის რეგიონში, ვიდრე ქართული მუშახელი. მხედველობაში გვაქვს თურქეთის იმპორტი, რომელსაც დღეს მთლიანად მონოპოლიზირებული აქვს ქართული ბაზარი და საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ეს ტოვებს თავის გავლენას პოლიტიკურ ვითარებაზეც და არც უნდა გაგვიკვირდეს.

***– რატომ არ უნდა გაგვიკვირდეს?***

– დღეს თურქეთი არ არის ის თურქეთი, როგორიც 20-30 წლის წინათ არსებობდა. დღევანდელი თურქეთი ეს არის რეგიონალური ლიდერი, რომელსაც მთელი მსოფლიო უწევს ანგარიშს, რომელიც, მსოფლიო ოცეულის სამიტი რომ იყო, მონაწილეობდა, როგორც უკვე მსოფლიო ოცეულის წევრი და საქართველოსი კი არა, ხედავთ თქვენ, რომ უზარმაზარი ქვეყნების, სირიისა და ეგვიპტის საქმეებში ერევა. ევროპასთან, რუსეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან აწარმოებს თანასწორუფლებიან მოლაპარაკებას. საქართველო მათთვის არის ერთი პატარა ლუკმა, ამიტომაც ეს კარგად უნდა გვქონდეს გაცნობიერებული. ისიც უნდა გვქონდეს გაცნობიერებული, რომ ყველა ერს აქვს თავისი ნაციონალური ცნობიერება, თავისი ისტორიული მეხსიერება, რომელიც არის სუბიექტური, მაგრამ იმავდროულად ცნობიერება არის ობიექტური რეალობა და ეს ცნობიერება მდგომარეობს იმაში, რომ თურქებისთვის აჭარა არის იგივე, რაც საქართველოსთვის – აფხაზეთი. ისინი უყურებენ ამას, როგორც დროებით დაკარგულ ტერიტორიას, რომელიც უნდა იქნეს რეინტეგრირებული ამა თუ იმ ფორმით. ჩვენ, რა თქმა უნდა, თურქებთან უნდა ვესწრაფოდეთ კეთილმეზობლურ და პარტნიორულ ურთიერთობებს, მაგრამ იმავდროულად უნდა ვიცოდეთ, რომ ის არ არის კეთილშობილი ქალების პანსიონი, სადაც ეს ყველაფერი თავისთავად გვერგება. ამას სჭირდება ბრძოლა, ამას სჭირდება დაცვა. როდესაც სააკაშვილი ამაყობს, რომ ახალციხის რამები აღადგინა, იქნებ პარალელურად გვითხრას, რა ხდება ოშკსა და ხახულში, რომელიც ვიცით, რომ სატირალზე უარეს დღეშია. როდესაც აქ იხსნება დევნილების უნივერსიტეტები და სკოლები, მე რამდენიმე თვის წინ პირადად ვიყავი და დავათვალიერე, მაგალითად, ლაზების მდგომარეობა თურქეთში და იქ ერთი პატარა ბროშურაც კი, ლაზურ ენაზე, არის სანატრელი. ამიტომაც, ჩვენ უნდა გვქონდეს ნაცვალგების პრინციპი და ვიცოდეთ, როცა თურქებს რაღაცას ვუკეთებთ, ჩვენ თვითონაც უნდა მოვითხოვოთ საამისოდ შესაბამისი კომპენსაცია.

***– რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ?***

– მე არ მინდა დავთარსო ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ზუსტად ასე იწყებოდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. ჯერ ითქვა, რომ არიან ჩვენი უმცირესობის ძმები, მერე გავუხსენით სკოლები, მერე თეატრები, მერე უნივერსიტეტები, მერე მივეცით ავტონომიები, მერე იყო პროპაგანდა, რომ მათთვის რაღაცა დემოგრაფიული სტიმულირება მიგვეცა, მერე ანბანები შევუქმენით, გვირაბები გავუთხარეთ და როცა უკვე მათ საქართველოდან გამოყოფა განაცხადეს, აღმოჩნდა, რომ ჩვენ არანაირი ბერკეტი აღარ გვქონდა ამ ყველაფრის შესაჩერებლად. ტენდენცია, რომელიც აჭარაში მიმდინარეობს, არის იდენტური. რა თქმა უნდა, ზუსტად იდენტური არ არსებობს ისტორიაში ვითარებები, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 300 წელი იყო ოკუპირებული თურქეთის მიერ და ეს არ იყო ათასი და ათასხუთასი წლის წინ, ეს იყო ყურის ძირში. ჯერ კიდევ იმ ხალხის შვილები და შვილიშვილები ცოცხლები არიან. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1921 წელს თურქეთის მიერ იქნა ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ტაოკლარჯეთი და ლაზეთი, როგორც კი დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. ამიტომაც, ჩვენ ეს ძალიან კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ნებისმიერ ხელსაყრელ ვითარებაში, თურქეთი, ეეცდება, თავისი ინტერესების გატარება.

# ლიკა ყაზბეგი პატარძლებს გამოფენს

ეკა ირემაშვილი

სამოდელო სააგენტო ლიკა ყაზბეგის ხელმძღვანელი 3 ივლისს კრწანისის რეზიდენციის კლუბში „პატარძალი 2012“-ის ჩვენებას გამართავს. რა სიურპრიზები ელოდება შეკრებილ საზოგადოებას, ამაზე ლიკა ყაზბეგი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ლიკა ყაზბეგი:**

– ყველა პროექტი, ყველა ჩვენება სასიამოვნოა, მაგრამ ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა, რადგან საქმე ეხება თეთრ საპატარძლო კაბებს, რომლებსაც აქვს საოცარი მაგია. ეს ჩემს თავზეც გამოვცადე.

***– თეთრ კაბაზე გიოცნებიათ?***

– არასოდეს მიოცნებია თეთრ კაბაზე, განსხვავებით იმ უამრავი ქალისგან, რომლებიც ამის გამო თხოვდებიან. ამ ბოლო დროს სხვა ტენდენციაც წამოვიდა, მაგრამ თეთრ კაბას ვერავინ და ვერაფერი ჩაანაცვლებს. პირველად რომ ვაკეთებდი პროექტს, ფოტოსესიის გადაღების დროს მითხრეს, კარგი იქნება, თუ ორგანიზატორიც ჩაიცვამს კაბასო. რა თქმა უნდა, ჩავიცვი, მაგრამ იმდენად მომხიბლა და მომაჯადოვა, სამი-ოთხი საათი ველარ გავიხადე, მივხვდი, რომ გადაღების პროცესს ვწელავდი. ფოტოსესიისთვის ახლაც ვიცვამ საპატარძლო კაბებს და სიამოვნებით ვპოზირებ. სამწუხაროდ, ეს უძვირფასესი კაბები ამდენი ჩაცმითა და გახდით ფუჭდება, მაკიაჟითაც ისვრება, მაგრამ „მარიონელას“ ულირს ეს ყველაფერი, რადგან ჩემი პროექტი მოსწონთ.

***– როგორ ემზადებიან მონაწილეები ჩვენებისთვის?***

– გოგონები საოცარი ენთუზიაზმით ემზადებიან ამ ჩვენებისთვის. ზოგიერთი მათგანი უკვე იყო გათხოვილი და თავის ქორწილში ეცვა თეთრი კაბა, ამიტომ ახლაც სიამოვნებით დაგვთანხმდა. ბევრი აღმოვაჩინე ჩემ ირგვლივ, რომელიც გათხოვილია, მაგრამ არ სცმია თეთრი კაბა. გამოვიდა, რომ ოცნებას ვუსრულებ ამ ქალბატონებს. საერთოდ, სხვისი ოცნებების ასრულებაში პროფესიონალი ვარ. უაღრესად სასიამოვნოა, როცა ერთად ამდენ ბედნიერ სახეს ხედავ. ბევრი აღნიშნავს, რომ დღეს ჩვენი ერი დაძაბულია, ქუჩაშიც კი იშვიათად დაინახავ მოღიმარ სახეებს, ჩემს ჩვენებაზე კი უამრავი გაღიმებული და ბედნიერი სახის ნახვაა შესაძლებელი.

***– ამ პროექტს ისევ თქვენ და მარიონელა აკეთებთ?***

– დიახ. მარიონელა ჩემი გენერალური სპონსორი იყო პირველ ჩვენებაზე. წელს შემომთავაზეს, ყოფილიყვნენ ჩემი თანაორგანიზატორები, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. მართლა სერიოზული ბრენდია „მარიონელა“, საფრანგეთში ოქროს ხარისხის ჯილდო მიანიჭეს, როგორც საუკეთესო ბრენდს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვისთან ვითანამშრომლებ, რადგან საკმაოდ ცნობილი პროექტია. ერთი ჩვენებით გახდა ეს პროექტი წარმატებული. მაქვს პროექტები, რომლებსაც რამდენჯერმე სჭირდება ჩატარება, რომ გახდეს პოპულარული, მაგრამ პატარძლებზე ერთი ჩვენებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ პოპულარული გამხდარიყო. გადავწყვიტე, ამას მივცე ტრადიციული სახე. ძალიან ბევრი გოგონა, რომელიც არ იყო გათხოვილი და გამოვიდა ამ პროექტში, აპირებს დაქორწინებას. ზოგი გათხოვდა, ზოგი გათხოვების პროცესშია. ალბათ, უჩემოდაც მოახერხებდნენ ამას, მაგრამ პროფესია და პიარი მოითხოვს, რომ ეს ყველაფერი დავიბრალო.

***– ვინ არიან მონაწილეები?***

– ძალიან დიდი და გრძელი სია მაქვს მონაწილეების. ბევრი ვიფიქრე, ვის მიეღო მონაწილეობა ამ პროექტში. მართლა იმაზე მეტი „პატარძალი“ მოგროვდა, ვიდრე ამის საშუალებაა. არ გვინდა, ჩვენება გაიწელოს და მაყურებელს თავი მოვაბეზროთ.

***– გასული წლის „პატარძლებიც“ იქნებიან?***

– გამეორდება ორი ადამიანი. პირველია ბალერინა და მოდელი თათა ჯაში, რომელიც წინა წელს მთავარი პატარძალი იყო. ის ნეფესთან იმედა არაბულთან ერთად გამოვიდა შარშანდელ ჩვენებაზე. ამას მოჰყვა უამრავი ჭორი, რომ თათა მართლა გათხოვდა თუ არა იმედაზე. ბევრს ვერ ვარწმუნებდი, რომ ეს იყო იმიტირებული. თათა ჩემი დისშვილია და ბევრი მილოცავდა მის გაბედნიერებას. თავიდან უარვყოფდი, მერე ისე დავიღალე, აღარაფერს ვამბობდი და ეს უფრო აინტრიგებდა ხალხს. წელს მთავარი პატარძალი იქნება თათია პაჭკორია, რომელიც ფიქრობს, გადადგას რეალური ნაბიჯი გათხოვებისკენ. არ მინდა, დეტალებში ჩავღრმავდე, მაგრამ ბევრი სიახლე გვექნება. თათა გახსნის ცეკვით ჩვენებას, მუსიკალური ნომერიც გვაქვს. წინა პატარძლებში ბევრი ტელესახე იყო. წელს ასე არ არის. წელს პატარძლებში გამოვლენ მარიამ როინიშვილი, თიკა ჯამბურია, მარიკა თხელიძე, სალომე ჭაჭუა, სალომე ბაკურაძე, ნანუკა გოგიჩაიშვილი, ნინო ნადირაძე. „იმედის დილიდან“ გამომყავს ტელეწამყვანები, ჩემი სამოდელო სააგენტოს მოდელებიც, ის ხუთი გოგონა, რომლებიც წინა პატარძლებში მეხმარებოდნენ და ანტურაჟს წარმოადგენდნენ. ისინი იყვნენ თოჯინები და მარიონელას ულამაზეს კაბებში იყვნენ გამოწყობილი.

***– ბავშვებსაც გამოიყვანთ?***

– რა თქმა უნდა. ეს არის ჩემი ტრადიცია, რომელსაც არასოდეს დავარღვევ. წელს 25-მდე ბავშვი გამომყავს, პატარა პატარძლებიც გვეყოლება. მარიონელას დიზაინერებმა ამ პატარებისთვის სპეციალურად შეკერეს საპატარძლო კაბები. ყველაზე პატარა გვყავს მარიამ სოსელია უკრაინიდან. არასტანდარტულ და არაორდინარულ გარემოში ვაკეთებთ ჩვენებას – კრწანისის რეზიდენციის კლუბში და ცოტა მეშინია კიდეც. არ არის ამ ჩვენების ორგანიზება მარტივი საქმე, მაგრამ, სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ კრწანისის რეზიდენციის კლუბის წარმომადგენლებმა იუთუბიზე ნახეს ჩემი წინა ჩვენების ვიდეო და შემომთავაზეს საკუთარი კლუბი. ჩვენ ახლა პარტნიორები ვართ, გვექნება აფთერფართი, ფეიერვერკები, რისი საშუალებაც აქამდე არ გვქონია. სპეციალურად ჩამოვიდა ქუთაისიდან ქალბატონი, რომელსაც აქვს კომპანია „თამარიონი“ და ის ზღაპრულად გააფორმებს ყველაფერს, დაუვიწყარი იქნება ჩვენი პატარძლის ხელის მოწერა. წელს უკვე რეალური წყვილი ნამდვილად მოაწერს ხელს ამ ჩვენებაზე.

***– ცნობილია?***

– კი, ცნობილია. ტელესახეა. მეტს ვერაფერს გეტყვით.

***– ექსპრეზიდენტს ხომ არ შეაწუხებს თქვენი ღონისძიება?***

– არა მგონია. ყველაფერს კრწანისის რეზიდენცია მოაგვარებს. სიმართლე რომ ვთქვა, ამ თემაზე არ მიფიქრია. როგორც ვიცი, შეუძლოდ არის და ჩვენ ვეცდებით, არ შევაწუხოთ.



***– ბევრ სტუმარს ელოდებით?***

– ჩემი პრობლემა სულ ის არის, სად დავტიო ამდენი მსურველი, თან კრწანისის რეზიდენციის კლუბში არ არის დიდი სივრცე. დაიწყო ჩემთვის ძალიან მტკივნეულ თემაზე ფიქრი, სად წავიყვანო მაყურებელი და როგორ დავტიო. ეს არის ჩემი მოუგვარებელი პრობლემა. თითოეული ჩვენების შემდეგ მრჩება ხოლმე განაწყენებული ადამიანების მთელი არმია. ამინდი ჩემთვის გადამწყვეტია, აუცილებლად კარგი ამინდი უნდა იყოს. ერთხელ საშინელ წვიმაში მოგვიწია ჩვენების ჩატარება, ამიტომ ფობიაც კი გამიჩნდა ამინდთან დაკავშირებით.

***– სიძეების პოდიუმი არ უნდა მოაწყოთ?***

– ის ქალბატონი, რომელიც წელს ხელს აწერს, შარშან ამბობდა, ვართ მშვენიერი პატარძლები, მაგრამ სიძე არსად არისო. იმდენად მომეწონა მისი ნათქვამი, როცა ფილმად ვაკეთებდი ჩემს პროექტს, მისი ინტერვიუ ჩავსვი. მოხდა ისე, რომ სიძე მართლაც გამოჩნდა მის ცხოვრებაში და ახლა უკვე რეალურად მოაწერენ ხელს. ჩემი მეგობარი მეუბნება, ამ პროექტით ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ საკითხებზეც ზრუნავო. პირადად ამაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ, თუკი მართლა ასეა, ბედნიერი ადამიანი ვიქნები. მყავს ერთი წყვილი, ორივე ცნობილი სახეა და დიდი ხანია ერთმანეთი უყვართ. ბიჭს ვუთხარი, შექმენი ოჯახი და გაგიკეთებ სრულიად უსასყიდლოდ ისეთ ხელის მოწერასა და ქორწილს, რომელიც შეიძლება სოლიდური თანხა



დაგიჯდეთ-მეთქი. მას ყველა კარტი გავუხსენი, შეიძლება დაფიქრდეს, არ არის გამორიცხული. უცნობ ადამიანებს ამ პროექტში ვერ ჩავსვამ, რადგან ამ დროს აუცილებელია ცნობილი სახეები.

***– მაჭანკლობაც დაიწყეთ?***

– მაჭანკლობასთან დაკავშირებით გამახსენდა, რომ ცნობილი გადაცემის „ხანუმების“ სამი ხანუმა მობრძანდება და შეაფასებენ ჩვენს პატარძლებს. მათი მოსვლა შოუსაც გაალამაზებს. ჩვენ გვაქვს ჩვენებამდე ფოტოსესიები, სპეციალურად ჩემი პატარძლებისთვის პორტფოლიოები შეიქმნება და მათ აჩუქებენ. გვაქვს ჩანაფიქრი, კაჭრეთში, სასტუმრო ამბასადორში“ წავიყვანოთ ეს ცნობილი სახეები და საპატარძლო კაბებით ითამაშონ გოლფი. ალბათ, ბევრმა მათგანმა არც კი იცის გოლფის თამაში, მაგრამ ჩვენ გვინდა, მათ ესეც სცადონ. სტუდია „დანიელას“ ფოტოგრაფები ლევან ტუღუში, ნათია სიჭინავა და თამუნა ჩალაძე ამ ყველაფერს ფოტოებზე ასახავენ. ერთი ფოტოსესია გვქონდა კრწანისის რეზიდენციაში, მარიონელაში, თბილისის ამბასადორში, ვაპირებთ კაჭრეთის ამბასადორშიც, გოლფის მოედანზე. მთლიანობაში 5-6 ფოტოსესია გამოგვივა, სადაც სიამოვნებით პოზირებენ მოდელები. რაც ყველაზე მთავარია, პატარძლები საჩუქრების გარეშე არ დარჩებიან, თამო ლაშხია, ახალგაზრდა დიზაინერი, მათ თავის მიერ დამზადებულ აქსესუარებს გადასცემს. დათო ქაცარავაც გადასცემს საჩუქრებს, რომელსაც აქვს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. ჩემს პატარძლებს ბევრი საჩუქარი ელით. ყოველთვის ვანებივრებ ხოლმე ჩემი პოდიუმის მონაწილეებს.

***– რამდენ პატარძალს გამოიყვანთ პოდიუმზე?***

– წინა პროექტში გამოვიყვანეთ 30 პატარძალი. ახლა უკვე ბავშვებთან ერთად დაახლოებით 60 პატარძალი გვეყოლება. გამოგვყავს შედარებით უფროსი თაობის პატარძლებიც, დიზაინერი თინათინ მაღალაშვილი, არის საუბარი, რომ ეკა ჩხეიძე გამოვიყვანოთ, მის გოგონასაც მინდა, საპატარძლო კაბა ჩავაცვა, თეა დარჩიას გოგოც ძალიან მომწონს. ამ ბოლო დროს გადავწყვიტე, ცოტა საიდუმლოს შენახვაც ვისწავლო. დავდებ პირობას, რომ არაფერს ვიტყვი, მაგრამ ეს ჟურნალისტები მაინც მათქმევინებთ ხოლმე.

***– ასაკი შეზღუდული გაქვთ?***

– არა, მაგრამ უფრო პატარა ასაკის გოგონებს ვარჩევ. ვფიქრობ, მათ უფრო მოუხდებათ. უფროსი ასაკის ქალბატონებისგან ისინი ავარჩიე, ვისაც ვიცი, რომ მოუხდებათ და მოირგებენ თეთრ კაბას. ვინაობას ვერ დავასახელებ, მაგრამ ერთმა ცნობილმა ქალბატონმა მთხოვა, თეთრი კაბით გამომეყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, მეგობრობასა და საქმეს ვერ ავურევ ერთმანეთში. ერთმა მითხრა, სამჯერ გავთხოვდი, არასოდეს ჩამიცვამს თეთრი კაბა და ჩამაცვიო. მე რეალურად ვუყურებ ჩემს პროექტებს და ამიტომ ხათრით არაფრის გაკეთება არ შემიძლია. არ არის გამორიცხული, მაყურებელმა არასასურველი ფრაზებით შეამკონ ან ცუდად მოიხსენიონ, რაც ჩემთვის გულსატკენია.

***– თქვენ გამოხვალთ პოდიუმზე?***

– არა, თუმცა ორჯერ მქონდა ბედნიერება, პოდიუმზე გამოვსულიყავი. ორ ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა – ერთხელ ლალი მოროშკინას ბეწვეულის ჩვენებაში და მეორედ – ზალიკო ბერგერის ჩვენებაში. სულ ვამბობ, დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ჩვენებაში, თუკი მიმიწვევენ. ჩემს ჩვენებაზე პოდიუმზე ნამდვილად ვერ გამოვალ, ამ დროს სულ კულისებში ვარ. არასოდეს მქონია ფუფუნება, რომ ჩემი ჩვენება მენახა. ერთხელ დავჯექი და მაშინაც ვილაცამ დააგვიანა პოდიუმზე გამოსვლა, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, სცენა გაიყინა და ისეთი შევვარდი კულისებში, ვის ახსოვდა პირველ რიგში ჯდომა.

***– წარმატებულ ქალებს ისევ გააკეთებთ?***

– რა თქმა უნდა.

***– ყბადაღებულ შოკ-დეფილეს?***

– ცუდი პერიოდი ემთხვევა. შემოდგომაზე არჩევნებია და სამი პროექტი მაქვს გასაკეთებელი. ბიზნესჩვენება, სადაც პიარმენეჯერები უნდა გამოვიყვანო. მათ უკვე იციან და მელოდებიან. პოდიუმზე ყველა პიარი თავის კომპანიას უფასოდ წარადგენს. ამის მეტი რა შევთავაზო? ვისაც ვუთხარი, რომ ასეთი იდეა მაქვს, ყველა აღფრთოვანდა და ამან მეც შემასხა ფრთები. როცა მოსწონთ, რასაც ვაკეთებ, ეს ჩემთვის სტიმულია. ამ ჩვენებას დაახლოებით 120 ადამიანი ელოდება. რაც შეეხება შოკ-დეფილეს, მასზე ამჯერად აღარ ვისაუბრებ. შევხვდი კახა ბაკურაძეს, რომელიც ამთავრებს თავის თეატრს, ჩემი იდეა მოეწონა კახას და ერთობლივად, ალბათ, შემოდგომაზე განვახორციელებთ, მხოლოდ სია გვაქვს შესათანხმებელი. თანაორგანიზატორს აქვს როგორც პლუსები, ასევე მინუსები. როცა ჩემს პარტნიორს არ მოსწონს ჩემი კანდიდატურა, მიწევს მასზე უარის თქმა, თუმცა პროექტის მთავარი ავტორი მაინც მე ვარ. არ ვარ მიჩვეული კომპრომისებს საქმეში, ჩემს სფეროში, როცა პროექტიც ჩემია და იდეის ავტორიც მე ვარ. ამ დროს პრეტენზია გაქვს, ისე განხორციელდეს ყველაფერი, როგორც მხოლოდდამხოლოდ შენ გინდა. წარმატებული ქალი უნდა ჩავატარო, შოკ-დეფილე და ბიზნესჩვენება თუ მოვასწარი შემოდგომაზე, ჩემს თავს ვაღიარებ. ბიზნესჩვენება დაწყებული მქონდა, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში მოხდა ძალიან უსიამოვნო ფაქტი.

***– რა მოხდა?***

– იმ კაცის სახელსა და გვარს არ დავასახელებ თქვენთან, მაგრამ ყველა ჩემი მეგობარი, ახლობელი თუ საქმიანი პარტნიორი გავაფრთხილე, რომ მასთან საქმე არ დაიჭიროს. ის ჩვენი პროექტის სპონსორი იყო, რომელთანაც, სამწუხაროდ, ხელშეკრულება არ გამიფორმებია, რადგან მითხრა, რომ გარდაეცვალა ოჯახის წევრი. მიყო ზრდილობა, რომ არ დამერეკა მაშინ, როცა მეგონა, რომ ეს კაცი იყო პანაშვიდებზე. ჩვენება ჩავატარე და როცა მივაკითხე თანხასთან დაკავშირებით, რომ ის ვალები გამესტუმრებინა, რომელიც ჩვენების დროს ავიღე, ამ ადამიანმა ძალიან მარტივად და ქართულად აღარ შეასრულა თავისი ვალდებულება. მას ველოდე 4 თვე. ამ დროის განმავლობაში არაფერი მინდოდა, თან მოლოდინის რეჟიმი საშინელებაა. ბოლოს მივედით მე და ჩემი მეგობარი თინათინ მალალაშვილი, რომ შეგვეხსენებინა თავისი ვალდებულება, მან დაიფიცა თავისი შვილიშვილი, რომ თანხას გადმორიცხავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, პირობა არ შეასრულა. ათასგვარი მიზეზი მოიგონა, სასაცილოდაც კი არ ღირდა მისი არგუმენტები. მას ვუთხარი, რომც არ ჩამეტარებინა ეს ჩვენება, თქვენ ხომ გამოცხადდით ერთ-ერთი არხით, ხომ გაგიკეთეთ 25.000 ლარის რეკლამა-მეთქი. ამის დოკუმენტიც მაქვს. მას ჰქონდა პრეტენზია, რომ მისი მაღაზია ისე არ გამოცხადდა ჩვენებაზე, როგორც საჭიროა. ეს არის პირველი ადამიანი, რომელმაც უნამუსობა ჩაიდინა და თან თავს დებდა, რომ კარგი სახელი ჰქონდა.

***– ცნობილი ადამიანია?***

– მას საბურთალოზე აქვს მაღაზია „მოდის სამყარო“, მეტს ვერაფერს ვიტყვი. ამ ადამიანმა დიდი დარტყმა მომაყენა. ოთხი თვე პაუზა არ მქონია, ჩემს სფეროში ერთი დღე არ შეიძლება პაუზა, არათუ ოთხი თვე. უამრავი პროექტი მქონდა გასაკეთებელი, მაგრამ სტიმული დავკარგე. გავაკეთო პროექტი იმისთვის, რომ სახლიდან გავიტანო ფული? ეს ხომ წარმოუდგენელი რამ არის. თავიდანვე რომ მცოდნოდა, რომ ეს ადამიანი ასეთია, თავს შორს დავიჭერდი მისგან. სულ ვამბობ, რომ ინფორმაციას დიდი ძალა აქვს. ვინმეს რომ ეთქვა, რომ ეს ადამიანი არ არის სანდო, არ იცავს თავის კაცურ სიტყვასა და ღირსებას, მასთან საქმეს არ დავიჭერდი. ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ტრავმაც მივიღე და უკანაც დამხია. თუმცა ძალა მოვიკრიბე და ამ კაცს ნამდვილად არ შევწირავ ჩემს კარიერას. ყველა ჩემი ახლობელი გავაფრთხილე, რომ მასთან არანაირი ურთიერთობა არ იქონიონ. ბაქოშიც კი გავაფრთხილე ჩემი მეგობრები, რომ ამ ადამიანს არ ენდონ.

***– დასვენებას როდის აპირებთ?***

– აგვისტოში უნდა დავისვენო და მოვიკრიბო ძალები, რომ შემოდგომის სამ ჩვენებას დასვენებული დავხვდე. პენსიონერული დასვენება მაქვს გადაწყვეტილი. ძალიან დიდი ხანია არ წამიკითხავს მხატვრული ლიტერატურა, მინდა რამდენიმე ნაწარმოები წავიკითხო. დავაკვირდი, რომ სიტყვათა მარაგი შემიმცირდა, ამიტომ კითხვა ჰაერივით მჭირდება, ჩემი მეტყველება მე თვითონ აღარ მომწონს. სხვებისგანაც კი მაღიზიანებს ერთი და იგივე ლექსიკონი, რბილ ლ-ს შევეჩვიე, ახლა უკვე ინტონაციები მაღიზიანებს, მეც კი გამეპარა რამდენჯერმე ინტონაცია, ჩემი თავი ამაში დავიჭირე.

***– ყაზბეგში ჩვენებას ისევ ჩაატარებთ?***

– ჯერ არ ვიცი, მაგრამ, თუკი შემომთავაზეს, უარს ნამდვილად არ ვიტყვი, ჩემი კუთხეა და მიყვარს ძალიან. თბილისში ამდენი საშუალება არ არის, ყაზბეგში კი უფრო ორიგინალური ელემენტებით დავტვირთე ჩემი ჩვენება. ცხენით, რომელმაც დოლში გაიმარჯვა, მივაბრძანე ჩემი ერთ-ერთი მოდელი თათა ბაქრაძე, ულამაზესი გოგონა, რომელიც კინაღამ დაიტოვეს ყაზბეგში მოხევე ბიჭებმა, ისე მოეწონათ. თუკი ჩათვლიან საჭიროდ და მიმიწვევენ, სიამოვნებით წავალ. ჩემი მოდელებიც ელოდებიან, რადგან პირველად იყვნენ შარშან ხევსა და ყაზბეგში და აღფრთოვანებულნი დაბრუნდნენ.

***– თქვენ ჩადიხართ ხოლმე ყაზბეგში?***

– კი ჩავდივარ, იქ სახლი მაქვს და მისახედია. მახარებს, რომ დაიწყეს ყაზბეგის მიხედვა. ის ჩემი ბავშვობიდანვე ყოველთვის იყო ტურისტებით სავსე. ჩემი წინაპრების სახლი მაქვს, თან ძალიან კარგ ადგილას, პირდაპირ მყინვარი ჩანს, მარცხნივ ყაზბეგის სახლ-მუზეუმია და მართლა ფანტასტიკურ ადგილას არის ჩემი სახლი. ძალიან მინდა, წელს მოგზაურობაც დავგეგმო. ესპანეთში მინდა წასვლა.

# გერმანიისთვის იტალია დაუმარცხებელია

**გერმანია-იტალია 1:2**
0:1, 0:2 ბალოტელი (20, 36), 1:2 იოზილი (90პ)

**გერმანია:** ნოიერი, ბოატენგი (მიულერი 71), ჰუმელსი, ბადშტრუბერი, ლამი, შვაინშტაიგერი, ხედირა, კროოსი, იოზილი, პოდოლსკი (როისი 46), გომესი (კლოზე 46)

**იტალია:** ბუფონი, ბალცარეტი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი, პირლო, მარკიზიო, მონტოლივო (მოტა 63), დე როსი, ბალოტელი (დი ნატალე 70), კასანო (დიამანტი 57)



მატჩი გერმანელთა უპირატესობით დაიწყო. მე-12 წუთზე, ბოატენგის ჩაწოდების შემდეგ, ბუფონმა არადამაჯერებლად ითამაშა, მაგრამ იტალიელებს გაუმართლათ და მცველებმა ბურთი კუთხურზე გადააგდეს, რის შემდეგ შორიდან კროოსი ურტყამდა, მაგრამ ამჯერად ბუფონი კარგად გაისარჯა. შემდეგ უკვე იტალიელების ჯერი დადგა და 2-ჯერ შორიდან სცადეს გატანა, მაგრამ ნოიერს ვერ აჯობეს.

მე-20 წუთზე იტალიელთა შეტევის მარცხენა ფლანგზე კასანომ 2 გერმანელი მცველის „თავდასხმა“ არად ჩააგდო, ბურთი საჯარიმოში მაინც ჩააწოდა, სადაც ბადშტრუბერს ბალოტელიმ დაასწრო და ანგარიში გახსნა.

36-ე წუთზე მონტოლივოს გრძელი და ზუსტი პასის შემდეგ ბალოტელი მცველებს გაეპარა და ნოიერს აუღებელი დაურტყა – 0:2.

ცხადია, იოახიმ ლიოვს პირველი ტაიმის შედეგი არ აკმაყოფილებდა და გერმანელთა მთავარმა მწვრთნელმა შესვენებაზე 2 ცვლილება განახორციელა. იტალიელი სეხნიისგან განსხვავებით, პირველ ტაიმში ჩრდილში მყოფი მარიო გომესის ნაცვლად თამაშში მიროსლავ კლოზე ჩაერთო, ხოლო პოდოლსკი როისმა შეცვალა.

48-ე წუთზე როისი საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა, მაგრამ სუსტად დაარტყა. მალევე, კროოსთან კომბინაციის გათამაშების შემდეგ, კარგი პოზიციიდან ცუდად დაარტყა ლამმა. 62-ე წუთზე როისმა საჯარიმო დარტყმა ძალიან კარგად შეასრულა, მაგრამ მეტოქეს არც ბუფონი ჩამორჩა, რომელმაც ბურთი ბრწყინვალე ნახტომში მოიგერია.

პირველ ტაიმში მოპოვებულმა სოლიდურმა უპირატესობამ იტალიას უკან დახევისა და თამაშის კონტრშეტევებზე აგების საშუალება მისცა. იტალიელებმა მე-2 ტაიმში სახიფათოდ პირველად 67-ე წუთზე შეუტიეს, როდესაც მარკიზიოს დარტყმა ნოიერის კარს ასცდა. 75-ე წუთზე, რომ არა მარკიზიოს ეგოისტური თამაში, სავარაუდოდ, ანგარიშს გამანადგურებელი სახე მიეცემოდა. იტალიელი ნახევარმცველი საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შევიდა, ერთი მცველი მოატყუა და, იმის ნაცვლად, რომ კარის წინ მარტოდმარტო მყოფი დი ნატალესთვის გადაცემა გაეკეთებინა, არაზუსტად დაარტყა. 82-ე წუთზე გერმანია მე-3 გოლის გაშვებას კიდევ ერთხელ მას შემდეგ გადაურჩა, რაც მეკარესთან პირისპირ გასულმა დი ნატალემ არაზუსტად დაარტყა.

მატჩის ბოლო წუთებში, ძირითადი დროის ამოწურვამდე, გერმანელებმა 3 მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს. 2-ჯერ კროოსმა არაზუსტად დაარტყა, ხოლო ერთხელ როისს გატანის საშუალება ბალძარეტიმ არ მისცა.

მიმდინარეობდა მსაჯის მიერ დამატებული მე-2 წუთი, როდესაც ბალძარეტიმ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტი გოლად იოზილმა აქცია. თუმცა, გერმანელებს მეტის გასაკეთებლად დრო აღარ ეყოთ. ბუნდესნაკრებმა „სკუადრა აძურას“ ოფიციალურ მატჩში დამარცხება ვერც ამჯერად მოახერხა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მარიო ბალოტელი

მარიო ბალოტელიმ ჩეზარე პრანდელის აბსოლუტურად გაუმართლა იმედი და გერმანელთა კარში ორი ერთმანეთზე უკეთესი გოლი გაიტანა.

მატჩის შემდეგ

ჩეზარე პრანდელი:

– ვფიქრობ, ჩინებულად მოვემზადეთ ამ თამაშისთვის, თუმცა ერთია მომზადება და მეორე მისი მინდორზე განხორციელება. ბოლო 15 წუთში ორი შესანიშნავი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, თორემ ანგარიში გამანადგურებელი იქნებოდა, – განაცხადა პრანდელიმ, – ვაღიარებ, ჩვენ ფენომენალური ფეხბურთი ვითამაშეთ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ბალოტელის გარჯა. ის განუწყვეტლივ მოძრაობდა, ხშირად იხსნებოდა, კონცენტრირებული და მოტივირებული იყო. მან ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მატჩის წინ ვთხოვდით. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, გერმანია კარგი გუნდია და მასთან გამარჯვება ხუმრობა არ გახლავთ. ტურნირის დასაწყისიდან ვცდილობდით, კარგი ფეხბურთი გვეთამაშა და, ვფიქრობ, ეს შევძელით. მოთამაშეებმა ამ იდეის ირწმუნეს და აენთნენ. ახლა ზეიმის დრო არ გვაქვს, შემდეგი მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ. ვინ არის ფინალში ფავორიტი? ალბათ, ესპანეთი, რადგან მათ უფრო გამოცდილი გუნდი ჰყავთ. მაგრამ ჩვენც საფუძვლიანად მოვემზადებით და საკუთარ შანსს დაველოდებით.

იოაჰიმ ლიოვი:

– პირველი გაშვებული გოლის შემდეგ, რომელიც შეგვეძლო, თავიდან აგვეცილებინა, ორგანიზებულობა დავკარგეთ. შემდეგ იტალიელებმა ისევ გაგვიტანეს. ჩვენ ყველაფერი ჩავდეთ თამაშში, ვცდილობდით, როგორმე გაგვეთანაბრებინა, მაგრამ ბურთი ჯიუტად არ მიდიოდა კარში, – თქვა ბუნდესმწვრთნელმა, – თუ ჩვენს შემადგენლობას გადავხედავთ, ალბათ, შეიძლებოდა, რაღაცები სხვაგვარად გაგვეკეთებინა. მარიო გომესმა სამი ბურთი გაიტანა ტურნირზე და ვარჯიშებზეც კარგად მუშაობდა. ძალიან მინდოდა მინდორზე ტონი კროოსის ხილვა, რადგან მას მეტოქის ნახევარდაცვისთვის პრობლემების შექმნა შეეძლო. პირველმა გოლმა რიტმიდან ამოგვაგდო. შესვენებაზე, ალბათ, რისკზე უნდა წავსულიყავი და უფრო გაბედული შეცვლები გამეკეთებინა. სხვა მხრივ ჩემი ფეხბურთელების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. ორი წლის განმავლობაში ამ გუნდმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, ზედიზედ 15 მატჩი მოიგო. დღეს კი ძალიან ძლიერ მოწინააღმდეგესთან დავმარცხდით, რომელსაც ჩინებული ნახევარდაცვა ჰყავს, თანაც, მათ თამაშიც წაუვიდათ. უნდა ვაღიაროთ, ისინი ჩვენზე უკეთესები იყვნენ. ჩეზარე პრანდელიმ აბსოლუტურად გადააწყო გუნდი. ახლა ისინი პოზიტიურ ფეხბურთს თამაშობენ. ყველაფრის მიუხედავად, კარგი ტურნირი ჩავატარეთ. იტალიამდე ძლიერ გუნდებთან ოთხი მატჩი მოვიგეთ და, ვფიქრობ, მომავალში თავის გამოჩენის საშუალება კიდევ მოგვეცემა.

# პროფლიგა არ იქნება — ჩემპიონატს ფედერაცია ჩაატარებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კლუბებთან შეხვედრა გაიმართა, სადაც განიხილეს უმაღლესი ლიგის მართვის პროექტის დეტალები და 2012-2013 წლების საშეჯიბრებო დებულების სამუშაო ვარიანტი. უმაღლესი ლიგის 12 კლუბიდან შეხვედრას მხოლოდ 8 მათგანი ესწრებოდა. შეხვედრაზე „დინამო“ თბილისის, „ვიტ ჯორჯიას“, „მეტალურგის“, „ტორპედოს“, „კოლხეთის“, „სიონის“, „მერანისა“ და „დილის“ წარმომადგენლები გამოცხადდნენ.

აღსანიშნავია, რომ საფეხბურთო კლუბებს ერთი კვირით ადრე დაეგზავნათ მართვის პროექტისა და საშეჯიბრებო დებულების სამუშაო ვარიანტები. დღევანდელ შეხვედრაზე თავიანთი წინადადებები და შენიშვნები მხოლოდ „დინამო“ თბილისმა წარმოადგინა, რომელიც გათვალისწინებული იმ შემთხვევაში იქნება, თუ მას მხარს სხვა კლუბებიც დაუჭერენ.

სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ კლუბებს სამუშაო შეხვედრებში აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა. როცა სამუშაო ჯგუფი ყველაფერზე შეჯერდება, კლუბები თანხმობას ოფიციალური ხელმოწერებით დაადასტურებენ და ახალი პროექტი და დებულება დასამტკიცებლად აღმასკომს გადაეცემა.

შეხვედრაზე საბოლოოდ დადასტურდა, რომ კლუბები პროფლიგის შექმნას ვერ ახერხებენ. მიზეზი ფინანსებია – სფფ-მ ჩემპიონატის საპრემიო ფონდი გააორმაგა (2.000.000 ლარი). წლევანდელ სეზონს სფფ და კლუბები მოსამზადებლად გამოიყენებენ, რათა მომავალი საშეჯიბრებო სეზონისთვის საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, საჭიროა თუ არა პროფლიგის შექმნა და რა სახით უნდა იარსებოს ამ ორგანომ.

თუმცა, შეთანხმებისამებრ, შეიქმნება ე.წ. „12-თა საბჭო“, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათის იქნება, გამართავს სხდომებს, ხმათა უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებებს და წარმოადგენს სარეკომენდაციო წინადადებებს.

საბჭოს შემადგენლობაში შევლენ კლუბების პრეზიდენტები და მათ მიერ რეკომენდებული პირები, რომელთაც უფლება ექნებათ, სხდომებზე გადაწყვეტილებები მიიღონ მაშინაც კი, თუ მათი კლუბების ხელმძღვანელები შეხვედრებს ვერ დაესწრებიან. ამისათვის საჭიროა, საწყის ეტაპზე თითოეულმა კლუბმა ოფიციალური წერილით წარმოადგინონ ის ადამიანები, რომლებიც საბჭოს სხდომებში მიიღებენ მონაწილეობას.

საბჭოს წევრების დაევალებათ, თვეში ორჯერ სავალდებულო შეხვედრები გამართონ, სადაც ყველა დაგროვილ და აქტუალურ საკითხზე იმსჯელებენ და შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ფედერაციას აცნობებენ.

მართვის ახალი პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია უმაღლესი ლიგის დირექტორის არსებობა და მისი ფუნქციები საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან ის უშუალო კომუნიკაციაში იქნება 12-თა საბჭოსთან და მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში იქნება საბჭოს წარმომადგენელი ფეხბურთის ფედერაციის შესაბამის ორგანოებში, გარდა ამისა, კოორდინაციას გაუწევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრებო, მსაჯთა და დამკვირვებელთა დამნიშნავი კომისიის მუშაობას.

რაც შეეხება მსაჯთა და დამკვირვებელთა დამნიშნავი კომისიის მუშაობას, გამოითქვა მოსაზრება, რომ კომისია იყოს 5-კაციანი შემადგენლობით. თუმცა საბოლოოდ ამ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. საბოლოო გადაწყვეტილება უკვე შემდეგ სამუშაო შეხვედრაში გახდება ცნობილი.

სხდომაზე ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იყო მომავალი ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდი, რომელიც 2.000.000 ლარი იქნება. აღსანიშნავია, რომ თავად კლუბებისა და სარეკომენდაციო საბჭოს გადასაწყვეტია და მათ უნდა შეიმუშაონ რეკომენდაციები, როგორი მიმართულებით გადანაწილდება სეზონის ბოლოს ეს თანხა. საპრიზო ფონდში გათვალისწინებული იქნება საქართველოს თასის გამარჯვებულისა და სუპერთასის გამარჯვებულის დაჯილდოებაც. საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში იქნება მიღებული.

სამუშაო შეხვედრაზე კლუბების წარმომადგენლებმა დათქვეს მომდევნო შეხვედრის თარიღიც. მორიგი შეხვედრა 4 ივლისის დღის 12 საათზე გაიმართება.

კლუბების წარმომადგენლებმა იმედი გამოთქვეს, რომ მომდევნო შეკრებაზე მათ დანარჩენი კლუბებიც შეუერთდებიან, ვინაიდან ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მისაღები.

ეროვნული ჩემპიონატი 11 ან 18 აგვისტოს დაიწყება და 25-26 მაისს (თასის ჩათვლით) დასრულდება. მონაწილეობას 12 გუნდი მიიღებს, რომელიც 22 ტურის განმავლობაში (2 წრე) გაარკვევს ზედა და ქვედა ექვსეულების ვინაობას. მეორე ეტაპზე გუნდები 6-6 გუნდად განაწილდებიან. ზედა ექვსეული ჩემპიონობისთვის ბრძოლას კიდევ 2 წრე (10 ტური) გააგრძელებს, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ქვედა ექვსეულიც 2 წრედ იასპარეზებს.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. ჩემპიონატის სტრუქტურა

პირველი ეტაპი – მონაწილეობს თორმეტი გუნდი ორ წრედ (22 ტური);

მეორე ეტაპი. სპორტული შედეგები. პირველი ექვსეული – ბრძოლა ჩემპიონობისთვის ორ წრედ (10 ტური);

მეორე ექვსეული – უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ორ წრედ (10 ტური);

სულ 32 ტური

ჩემპიონატის სტრუქტურა – მეორე ეტაპზე გუნდებს გადაჰყვებათ მოპოვებული შედეგები (ქულა, მოგება და ა.შ):

– უმაღლეს ლიგას ავტომატურად ტოვებენ მეორე ექვსეულში მე-11-12 ადგილზე გასული გუნდები;

– უმაღლეს ლიგაში ავტომატურად გადმოდიან პირველი ლიგის პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები;

– უმაღლეს ლიგაში მეათე ადგილზე გასული გუნდი ადგილის შენარჩუნებისთვის ორ შეხვედრას (ან ერთს ნეიტრალურ მოედანზე) ჩაატარებს პირველი ლიგის მესამე ადგილის მფლობელთან;

– დუბლიორთა და ჭაბუკთა ლიგის გათამაშებები გაიმართება სამ წრედ.

ჩემპიონატის მართვა და მენეჯმენტი სფფ

– ფეხბურთის მმართველი ორგანო უმაღლესი ლიგის დირექტორი ხელმძღვანელობს სფფ-ს წესდებით, უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშების დებულებით;

– სფფ-ს უფლებამოსილ ორგანოებთან ათანხმებს საშეჯიბრებო კალენდარს;

– მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში იხილავს საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციებს;

– მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენელს სფფ-ს აღმასკომსა და სხვა შესაბამის ორგანოებში;

– კოორდინაციას უწევს სფფ-ს საშეჯიბრებო განყოფილებისა და მსაჯთა და დამკვირვებელთა დამნიშნავი კომისიის მუშაობას.

უმაღლესი ლიგის საკონსულტაციო საბჭო (კლუბების პრეზიდენტები)

– წარმოდგენილია კლუბების პრეზიდენტების სახით;

– მართავს სხდომებს (კვორუმი), გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით (ოქმი);

– იძლევა სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებებს (ოქმი).

საშეჯიბრებო განყოფილება

– ადგენს და დირექტორს წარუდგენს უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშების დებულებასა და კალენდარს;

– მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშებას.

მსაჯთა და დამკვირვებელთა დამნიშნავი კომისია

– მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ნიშნავს მსაჯებს, დამკვირვებლებსა და დელეგატებს

მსაჯთა და დამკვირვებელთა დანიშვნა

– კომისიის შემადგენლობა (4)

– სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი (თავმჯდომარე) – გადამწყვეტი ხმის უფლებით

– საშეჯიბრებო განყოფილება (ხმის უფლებით)

– გენერალური სამდივნო (ხმის უფლებით)

– სამსაჯო განყოფილება (კანდიდატურის წარმდგენი, ხმის უფლებით)

პროცედურა:

– სამსაჯო განყოფილება კომისიას წარუდგენს კანდიდატურებს;

– კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კლუბების დაფინანსების შემთხვევაში შესაძლებელია უცხოელი მსაჯების მოწვევა.

დელეგატის დანიშვნა – კომისიის შემადგენლობა (4)

– სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი (თავმჯდომარე) – გადამწყვეტი ხმის უფლებით

– სამსაჯო განყოფილება (ხმის უფლებით)

– გენერალური სამდივნო (ხმის უფლებით)

– საშეჯიბრებო განყოფილება (კანდიდატურის წარმდგენი, ხმის უფლებით)

პროცედურა:

– საშეჯიბრებო განყოფილება კომისიას წარუდგენს კანდიდატურებს;

– კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ტურამდე არანაკლებ ორი დღით ადრე; გადაწყვეტილება ქვეყნდება ტურამდე ერთი დღით ადრე.

ფინანსური უზრუნველყოფა

– მსაჯთა კორპუსის დაფინანსება 1.000.000 ლარი

– ჩემპიონატის პრემიალური ფონდი – 2.000.000 ლარი

განიხილება შემდეგი მექანიზმები

– პრემიალური ფონდი გადანაწილდება 1-7 ადგილზე გასულ გუნდებს შორის (განაწილების ოდენობაზე გადაწყვეტილებას წინასწარ იღებს საკონსულტაციო საბჭო);

– პრემიალური ფონდის 40-50 პროცენტი გადაეცემათ საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს, 50-60 პროცენტი გადანაწილდება 9 გუნდზე, ქულების პროცენტული ოდენობის შესაბამისად;

– მიიღება ალტერნატიული წინადადებები (გუნდები).

ჩემპიონატის დაწყება 11-18 აგვისტო

ჩემპიონატის დამთავრება 25-26 მაისი (თასის ჩათვლით)

ასევე საინტერესოა ისიც, რომ უცხოელი ფეხბურთელის აყვანის შემთხვევაში კლუბმა ფედერაციას 15.000 ლარი უნდა გადაიხადოს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# დიმიტრი მედვედევის ვიზიტი უკრაინაში

## ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა

— უკრაინას აღარ დარჩა სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ რუსეთთან ინტეგრაციას დათანხმდეს, — ასეთ კომენტარს უკეთებდა ენტივი ვითარებას, რომელიც უკრაინაში რუსეთის პრემიერ მედვედევის ვიზიტის წინ შეიქმნა.

უკრაინას მართლაც გააჩნია სერიოზული პრობლემები ევროკავშირთან. დასავლეთის ლიდერებს პრეზიდენტ იანუკოვიჩისადმი რიგი პრეტენზიები აქვთ. აქედან უმთავრესი ყოფილ პრემიერ იულია ტიმოშენკოს საკითხია. დასავლეთში თვლიან, რომ ტიმოშენკოსადმი გამოტანილი მსჯავრი უსამართლოა. თუმცა ექს-პრემიერის გასამართლებამ პრობლემები მხოლოდ დასავლეთთან არ შექმნა. ტიმოშენკოს ხომ ბრალად „რუსეთთან კაბალური ხელშეკრულების დადება“ დასდეს. შესაბამისად, ამან კრემლის ბევრი მაღალჩინოსანი განარისხა.

— რუსეთში „ტიმოშენკოს საქმე“ ანტირუსულ აქციად აღიქვეს, — წერს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი.

ამრიგად, საერთაშორისო იზოლაციის კონტურები რეალურად გამოიკვეთა. მოსკოვშიც ბევრი აკეთებდა პარალელს ბელორუსიასთან. როგორც ცნობილია, ბელორუსიის ხელმძღვანელობასაც მაინცდამაინც არ სურდა ე.წ. ევრაზიულ კავშირში შესვლა. შექმნილმა ვითარებამ (სრული საერთაშორისო იზოლაცია) აიძულა პრეზიდენტი ლუკაშენკო, ევრაზიულ კავშირში შესულიყო.

— დასავლეთი ლუკაშენკოს დიქტატორად აღიქვამდა. რუსეთში მას აშკარად დასცინოდნენ. ტელევიზიით გავიდა ფილმი, რომელშიც ლუკაშენკო მიწასთან იყო გასწორებული. ამრიგად, ბელორუსია სრულ იზოლაციაში მოექცა. ლუკაშენკომაც ვითარება რეალისტურად შეაფასა: ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება მისთვის ძალაუფლების დაკარგვას ნიშნავდა. ლუკაშენკომაც გააკეთა არჩევანი და კრემლის „ინტეგრაციულ“ ინიციატივებს დათანხმდა, — თვლის რადიო „თავისუფლება“.

მოსკოვი შეეცადა, უკრაინის მიმართაც მსგავსი სქემა აემოქმედებინა. გარეგნულად სიტუაცია მართლაც ბელორუსულს ჰგავდა, თუმცა არსებობდა რიგი მომენტებიც, რომლებიც უკრაინას ბელოსურიისაგან განასხვავებდა და რუსული სქემის განხორციელებასაც პრობლემებს უქმნიდა.

— დავიწყოთ იქიდან, რომ ბელორუსიაში რუსიფიკაციის ბევრად მაღალი დონეა. თუკი უკრაინაში მშობლიურ ენაზე მოსახლეობის 67 პროცენტი ლაპარაკობს, ბელორუსიაში ეს მხოლოდ 3 პროცენტით შემოიფარგლება. უკრაინელი მოსახლეობაც ბევრად აქტიურია, ვიდრე ბელორუსიელი, ამასთან, ბელორუსიაში მოსახლეობის უმრავლესობას ძირითადად სოციალური პრობლემები აღელვებს. უკრაინაში ცნებები „დამოუკიდებლობა“, „დასავლური არჩევანი“, „მშობლიური ენის სტატუსი“, „ჩვენი ეროვნული გმირები“ დიდ ვნებათაღელვას იწვევს, — ამბობს ვიტალი პორტნიკოვი.

დავუმატოთ ამას კიდევ ერთი ფაქტორი: ეროვნული ბურჟუაზია. ბელორუსიისაგან განსხვავებით, უკრაინაში ჩამოყალიბდა ოლიგარქთა კასტა, რომელიც ძალზე უფრთხის ქვეყანაში რუსული კაპიტალის შემოდინებას.

— მათ კარგად იციან, თუ რას ნიშნავს ქვეყანაში რუსი ოლიგარქების პოზიციების განმტკიცება, ამიტომაც მათი უმრავლესობა ცალსახად დგას პროდასავლურ პოზიციებზე, — თვლის პოლიტოლოგი ვიტალი ბალა.

ამრიგად, რუსეთთან ინტეგრაციას თვით ის ძალებიც კი ეწინააღმდეგებიან, რომლებმაც ვიქტორ იანუკოვიჩი ხელისუფლებაში მოიყვანეს. რუსი პოლიტოლოგების უმრავლესობაც მოსკოვსა და კიევს შორის არსებულ წინააღმდეგობებს სწორედ ამით ხსნის.

— დღეს იანუკოვიჩისათვის რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება სასიცოცხლოდაა აუცილებელი, თუმცა ამას, ნაციონალისტების გარდა, კატეგორიულად ეწინააღმდეგება უკრაინული ბიზნესელიტაც, — წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“.

რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებში ყველაზე მტკივნეულ საკითხს გაზი წარმოადგენს. მოსკოვი კატეგორიულად მოითხოვს, შესრულდეს კონტრაქტი, რომელსაც ხელი ექს--პრემიერმა იულია ტიმოშენკომ მოაწერა. ამ კონტრაქტის პირობები მართლაც კაბალურია. შედეგად უკრაინა გაზს ბევრად უფრო ძვირად იღებს, ვიდრე გერმანია.

— ჩვენ ყოველნაირად ვცდილობდით, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან შეთანხმებისა და კონტრაქტის გადახედვისათვის მიგვეღწია, — აცხადებს უკრაინის პრემიერი აზაროვი.

მოსკოვის პოზიცია ცალსახა იყო: გნებავთ გაზის იაფად მიღება? მაშინ კეთილი ინებეთ და ა) ევრაზულ კავშირში გაწევრიანდით; ბ) ე.წ. „ერთიან ეკონომიკურ სივრცეს“ შეუერთდით; გ) თქვენი გაზგამანაწილებელი სისტემა „გაზპრომის“ განკარგულებაში გადაეცით. როგორც ცნობილია, კრემლმა ამ სამივე პუნქტზე ბელორუსიის ხელმძღვანელობის დათანხმება შეძლო. ახლა უკრაინის ჯერი დადგა.

— იანუკოვიჩს ამ წინადადების მიღება არ შეეძლო, ვინაიდან შედეგად კონფლიქტში შედიოდა როგორც ქვეყნის მოსახლეობის ნახევართან, ასევე საკუთარ გარემოცვასთანაც, — თვლის პორტნიკოვი.

მიუხედავად ამისა, მოსკოვში თვლიდნენ, რომ უკრაინაში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად იანუკოვიჩი დათმობებზე აუცილებლად წავიდოდა. მართლაც ევროპასთან გართულებული ურთიერთობებისა და თავად უკრაინაში ოპოზიციის გააქტიურების ფონზე რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას იანუკოვიჩისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მოსკოვშიც იმედოვნებდნენ, რომ იანუკოვიჩი ახლა მაინც წავიდოდა დათმობაზე. ოპტიმიზმს აძლიერებდა ისიც, რომ უკრაინის ხელმძღვანელობამ თავის გამოსვლებში ანტირუსულ რიტორიკას მკვეთრად უკლო.



— მიუხედავად ამისა, გაზის საკითხებში იანუკოვიჩი დათმობაზე არ წავიდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

რუსული ზეწოლის პასუხად უკრაინის ხელმძღვანელობამ რუსული გაზის შესყიდვა შეამცირა. ამან მოსკოვი გააცოფა. „გაზპრომის“ თავკაცმა მილერმა განაცხადა, რომ უკრაინა ამით თითქოს კონტრაქტს არღვევს. კიევში ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ:

— ბატონ მილერს ვურჩევ, კონტრაქტი კიდევ ერთხელ გადაიკითხოს: თანახმად კონტრაქტისა, უკრაინას გააჩნია უფლება, ნაკლები მოცულობის გაზი შეისყიდოს, — განაცხადა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა გუდიმამ.

ასეთ ფონზე განხორციელდა რუსეთის პრემიერ დიმიტრი მედვედევის ვიზიტი უკრაინაში. მედვედევი პრემიერის რანგში უკრაინას პირველად ეწვია. როგორც ცნობილია, პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას მას ვიქტორ იანუკოვიჩთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. უკრაინის პრეზიდენტიც მედვედევის ჩამოსვლაზე დიდ იმედებს ამყარებდა:

— კიევში თვლიდნენ, რომ მედვედევის ჩამოსვლა ხელს შეუწყობდა ორ ქვეყანას შორის არსებული პრობლემების მოგვარებას. აქედან უმთავრესი უდავოდ რუსეთი და მიწოდებული გაზის ფასია, — წერს ვიტალი პორტნიკოვი.

მალე პრემიერმა აზაროვმა გააკეთა განცხადება, რომ თითქოს რუსეთთან შეთანხმება მიღწეულია და მოსკოვი მზადაა, კონტრაქტის გადახედვაზე წავიდეს. ჟურნალისტების შეკითხვაზე, თუ რის ფასად მოხდებოდა ეს, აზაროვმა მიუგო:

— რაც შეეხება ქვეყნის სუვერენიტეტს, აქ ჩვენი პოზიცია მტკიცეა და არავითარ დათმობაზე არ წავალთ!

აზაროვის ოპტიმისტურ განცხადებას ცივი წყალი პირველმა თავად მედვედევმა გადაასხა. უკრაინაში გაფრენის წინ მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ „უკრაინის მომავალს დსთ-ს ერთიან საბაჟო სივრცეში ხედავს“. თავის მხრივ, „გაზპრომის“ თავკაცმა მილერმაც აღნიშნა:

— ჩვენ კონტრაქტის გადახედვას არ ვაპირებთ!

კიევში ჩასულ მედვედევს თბილად შეხვდნენ. უხვად იყო განცხადებები რუსეთ-უკრაინის სტრატეგიულ პარტნიორობაზე, თუმცა იანუკოვიჩის ყველა მცდელობა, დათმობისათვის მიეღწია გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით, უშედეგო გამოდგა.

— მედვედევმა აღნიშნა, რომ ეკონომიკურ საკითხებში მოსკოვი პრაგმატული და ხისტი იქნება, — იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი“.

ამრიგად, მთავარ საკითხში შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. მედვედევი არ მალავდა, რომ უკმაყოფილო იყო, რადგან უკრაინის საბაჟო კავშირთან შემოერთებასთან დაკავშირებით ვერანაირ წინსვლას ვერ მიაღწია.

— რუსეთის პრემიერმაც უარი განაცხადა დონეცკში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩს დასწრებოდა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამრიგად, რუსეთ-უკრაინას შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა. მოსკოვი კვლავინდებურად მოითხოვს, რომ კიევმა გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით დადებული კონტრაქტის პირობები დაიცვას. უკრაინის ხელმძღვანელობა კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ რუსეთში შესყიდული გაზის მოცულობას ამცირებს. მოსკოვში ამას დაუფარავი გაღიზიანებით ხვდებიან:

— უკრაინული მხარე კონტრაქტს არღვევს და, თუკი ასე გაგრძელდა, ჩვენ საერთაშორისო არბიტრაჟში ვუჩივლებთ, — განაცხადა მილერმა.

ბევრი ექსპერტი თვლის, რომ მედვედევის ვიზიტს არც შეეძლო რაიმე გარდატეხის შეტანა. ისეთი საკითხები, როგორიცაა გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული კონტრაქტის გადახედვა, პრეზიდენტის კომპეტენციაშია და არა პრემიერის.

— ამიტომ ბევრი რამაა დამოკიდებული უკრაინაში ვლადიმერ პუტინის ვიზიტზე. ის, როგორც ცნობილია, ივლისისთვისაა დაგეგმილი, — თვლის უკრაინელი პოლიტოლოგი ფისენკო.

ბუნებრივია, პუტინის ვიზიტი ვერ იქნება ისეთი უშედეგო, როგორიც პრემიერ მედვედევისა იყო. რა შეთანხმებას მიაღწევენ რუსეთ-უკრაინის პრეზიდენტები? დღეს ამ შეკითხვას ბევრი ექსპერტი სვამს.

— ჩემი აზრით, გაზის საკითხში ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი გარდატეხის მიღწევა ნაკლებადაა მოსალოდნელი, — თვლის ფისენკო, — პუტინ-იანუკოვიჩის შეხვედრაზე მთავარი თემა უკრაინის საბაჟო კავშირთან ურთიერთობები იქნება.

ამავე დროს, ყველა ექსპერტი ერთსულოვანია იმაში, რომ კრემლი გააძლიერებს წნეხს უკრაინაზე, რათა აიძულოს კიევი, ბელორუსიის მსგავსად, თავისი სუვერენიტეტი შეზღუდოს. მრავლისმეტყველია ის, რომ ენტივი-თი გადაიცა ინტერვიუ ლეონიდ კუჩმას ადმინისტრაციის ყოფილ თავკაც მედვედჩუკთან. მან განაცხადა:

— უკრაინის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა და ოპოზიცია ცალსახად დგანან ევროდასავლურ პოზიციებზე, რაც უკრაინის მოსახლეობის ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდის. მოსახლეობის უმრავლესობა ხომ უკრაინის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს?

ცნობისათვის გვსურს აღვნიშნოთ, რომ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას უკრაინის მოსახლეობის მხოლოდ 12 პროცენტი უჭერს მხარს. უმრავლესობა (70 პროცენტი) ევროკავშირში შესვლის მომხრეა. თუმცა მედვედჩუკის გამოსვლა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ კრემლი უკრაინის ხელმძღვანელობის პოზიციით უკმაყოფილოა. ამიტომაც სახეზეა მცდელობა, მედვედჩუკის სახით შექმნან ლიდერი, რომლის გარშემოც ყველა პრორუსული ძალა გაერთიანდება და შეიქმნება ძლიერი ცენტრი, რომელიც უკრაინაში რუსული ინტერესების გატარებას უზრუნველყოფს.

— რუსეთი ცდილობს, მიაღწიოს პრემიერ აზაროვის მედვედჩუკით შეცვლას, რადგანაც მედვედჩუკთან საერთო ენის გამონახვა გაცილებით იოლი იქნება, თუმცა საეჭვოა, რომ იანუკოვიჩი ამას დათანხმდეს. ჯერ ერთი, მედვედჩუკი მისი პარტიის წევრი არაა, მეორეც, ის ცნობილია თავისი ამბიციებით და იანუკოვიჩიც მას თავის კონკურენტად აღიქვამს, — წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“

ამრიგად, მედვედევის ვიზიტმა რუსეთ-უკრაინას შორის არსებული პრობლემები ვერ მოხსნა. მოხსნის თუ არა წინააღმდეგობებს პუტინის ვიზიტი?

**ნიკა თევზაძე**


## უფასო განცხადებები

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული მეწველი, 12 ნამატით, მომვლელების საცხოვრებლითა და კაპიტალური საძროხით, მთელი წელი საძოვრით უზრუნველყოფილი. გლდანის ციხიდან 7კმ.-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

● დავიქირავებ ძროხების ფერმის მომვლელ ორ პიროვნებას. ფერმა მდებარეობის გლდანის ციხიდან 7 კმ-ში. ტელ: 591-409-131.

● ქ.რუსთავში იყიდება ოროთახიანი (45კვ.მ.) ბინა, რემონტით, კარ-ფანჯრები გამოცვლილია. მის: VI მიკრორაიონი, III კორპუსი, ბინა 710. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-716-515 ხათუნა.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

